# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 7 ივლისი 2007 №154 (3077) ფასი 50 თეთრი



ეროვნული ბიბლიოთეკა




## პროფლიგამ დაიწყო: დანდობა არ იქნება!

ინტერვიუ დიმიტრი რამიშვილთან



## გადაწყდა: ქართული კვარტეტი იენაში

ონიანის მერე სეთურიძე, კანდელაკი და ბარაბაძე



## ალქმაარმა არველაძეს აიაქსის უფლება მისცა

# ლატვია ამოვსებულია! რატომ არ ვიფიქროთ მეტზე?!

# 102:72

რიხით დაიწყო ევროპის ჩემპიონატზე თამაში საქართველოს კალათბურთელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა. იტალია-სლოვენიაში ევროპის 16-მა ნაკრებმა მოიყარა თავი და ერთი კვირის თავზე კონტინენტის საუკეთესოც გამოვლინდება. ქართველების მიზანი კი შედარებით მოკრძალებული, უძლიერესთა შორის დარჩენაა და ლატვიელთა განადგურებით დავით უსტიაშვილის გუნდმა ეს დილემა თითქმის გადაჭრა.

საქართველო ჯგუფში იტალიასთან, ბულგარეთთან და აწ უკვე ძლეულ ლატვიასთანაა და მომდევნო ეტაპზე გასასვლელად სამეულში მოხვედრაც აძლევს ხელს. ბალტიელთა დამარცხება გვარიანი შანსი და სტიმულია უსტიაშვილის გუნდისთვის, რათა A დივიზიონში ადგილი შეინარჩუნოს, თუმც თუ გუშინდელი წარმატებით ითამაშებენ, ქართველებს გაცილებით უკეთესი შედეგისთვისაც შეეძლებათ ხელის გამოკვრა.

გუშინდელი მატჩი ცალფარა გამოდგა — ქართველების უპირატესობამ პირველივე ტაიმში მიიღო სოლიდური სახე და მეოთხე ათწუთეულში ლიდერობამ 40 ქულასაც მიუკაკუნა.

საბოლოოდ უსტიაშვილის სამწყსომ 102:72 დაჯაბნა ლატვია და ფავორიტს რომ შეშვენის, ისეთი იმიჯი შეიქმნა.

დღეს ქართველები იტალიელებს ხვდებიან და ალბათ ძალიან გაუჭირდებათ.



რევაზ დიდია (№10) და მისი თანაგუნდელები დღეს იტალიელებს ხვდებიან



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# გვანახეთ ჩვენი ტოლი!

## ფრანგული საღამო უიმბლდონზე: მარიონ ბარტოლი და რიშარ გასკე



ქალთა ჩოგბურთის პირველ ნომერს, ბელგიელ ჟუსტინ ენინს ერთი უიმბლდონი აკლია საკარიერო დიდი სლემის გასაკეთებლად და, სულ მცირე, კიდევ ერთი წლით მოუწევს მოცდა.

ჟუსტინის მიერ სერენა უილიამსთან გამარჯვების შემდეგ საჩოგბურთო სამყარო ბელგიელისა და უფროსი უილიამსის, ვინუსის საფინალო მატჩის მოლოდინში იყო, მაგრამ გუშინ საღამოს 22 წლის ფრანგმა მარიონ ბარტოლიმ, ვისაც კარიერაში ოდენ სამი პატარა ტიტული მოუგია და წლევანდლამდე სლემტურნირებზე მესამე წრეს არ გასცდენია, ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

1:6 7:5 6:1 და ენინი კვლავაც უიმბლდონური ტიტულის გარეშე დარჩა, ხოლო ბარტოლი ფინალშია და ვინუს უილიამსსაც ემუქრება. არც გაემტყუნება — ზედიზედ სამი თამაში მოიგო პირველი სეტის წაგების შემდეგ, გზიდან ენინი და ელენა იანკოვიჩი ჩამოიტოვა და ვითომ, ვინუსს რატომ ველარ უნდა აჯობოს?!

წუხანდელი საღამო კი ჭეშმარიტად ფრანგული გამოდგა. კაცთა ბოლო მეოთხედფინალში რიშარ გასკემ ხუთსეტიან ტრილერში 4:6 4:6 7:6 7:6 8:6 მოუგო ორგზის ფინალისტ ენდი როდიკს და ნახევარფინალში როჯერ ფედერერზე გავიდა.



# პროფლიგამ დაიწყო: დანდობა არ იქნება!



**დროა კი არა, დაგვიანებულია კია, რაც პროფლიგამ წლეულს მოითხოვა კლუბებისგან — ბევრი შეიძლება მოგვედავოს, ქვეყანაში ეკონომიკური გაჭირვებაა და კლუბებს შემოსავალი არა აქვთო, მაგრამ თუ მართლა პროგრესისკენ მივდივართ ან ვცდილობთ მაინც წასვლას, 300 ათასი ლარის გარანტია წლიურად ნაღდად უნდა ჰქონდეს უმაღლესლიგელ კლუბს. ასე რომ, ძალიან კარგია პროფლიგის ასეთი პრინციპულობა, რომელსაც ერთი კლუბი შეეწირა: საჩხერის „ჩიხურამ" გარანტიები ვერ წარადგინა და უმაღლეს ლიგაში მის ადგილს, სავარაუდოდ, „ცხინვალი" დაიკავებს. პროფლიგის პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილს ქართული კლუბების მდგომარეობაზე და სხვა საინტერესო საკითხებზე ვესაუბრეთ — მე-19 ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე ხომ თვეზე ოდნავ მეტი დარჩენილი. პროფლიგა კი მოთხოვნების გამკაცრებასა და წეს-კანონების ფარგლებში დაუნდობლობას გვპირდება...**

— მოგეხსენებათ, რომ პროფლიგამ ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მონაწილე გუნდების მზადყოფნის შესამოწმებლად საგანგებო კომისია შექმნა. ჩვენი მიზანია, უმაღლეს ლიგაში ყოველმხრივ მოწესრიგებული გუნდები იყვნენ და მათ სეზონის დაწყებიდან ბოლომდე პრობლემები არ ჰქონდეთ. ასეთი ვითარებისას დიდი ყურადღებით ვსწავლობთ გუნდების ფინანსურ საკითხებს, თუმცა პროფლიგის კომისიას მხოლოდ ეს არ აინტერესებს. იქნებ, რომელიმე კლუბმა ფინანსური გარანტიები მოიტანა, მაგრამ კიდევ საკითხავია ამ გარანტიების წარმომავლობა და ქმედითუნარიანობა. ჩვენ გვსურს, რომ ახალ სეზონში უმაღლესი ლიგის ყველა კლუბი სრულყოფილი იყოს და რომელიმემ ჩემპიონატის დაწყებიდან ხუთი-ექვსი ტურის შემდეგ არ თქვას, პურის ფული არ გვაქვსო. ფული ფულად და, ამის გარდა კიდევ უამრავი საკითხია, რაზეც პროფლიგა მუშაობს — მაგალითად, საკომუნიკაციო საშუალებები. პროფლიგა ითხოვს, რომ ყველა კლუბს ჰქონდეს ადგილობრივი ტელეფონი, ფაქსი, კომპიუტერი, რომელიც ფედერაციის სალიცენზიო კომიტეტისგან მიიღეს. მოკლედ, მათთან დაკავშირების ყველა სხვა საშუალება. ნუ ჩათვლით, რომ პროფლიგას მხოლოდ ფინანსური საკითხები აწუხებს, ჩვენ გვაინტერესებს ყველაფერი, რაც კლუბების კეთილდღეობის წინაპირობა იქნება.

**— 5 ივლისი ფინანსური გარანტიების, წარსადგენად ბოლო დღე იყო. მოთხოვნა რომელმა კლუბებმა ვერ შეასრულეს?**

— გული მწყდება, რომ ეს საჩხერელებმა ვერ მოახერხეს, „ჩიხურა" მომავალ სეზონში უმაღლეს ლიგაში ალბათ ვეღარ ითამაშებს. შეიძლება ითქვას, რომ უმაღლეს ლიგაში ერთი ვაკანტური ადგილია. დანარჩენი 13 კლუბისგან კი ფინანსური გარანტიები მივიღეთ.

**— ალბათ დამეთანხმებით, მხოლოდ ფინანსური გარანტიები საქმეს ვერ უშველის. თანაც საკითხავია, ამ გარანტიებს ვინ იძლევა...**

— სწორედ ამიტომ არის შექმნილი პროფლიგის კომისია და ორშაბათიდან უკვე ამ გარანტიების წარმომავლობაზე ვიმუშავებთ. გუნდს თუ ფინანსური პრობლემები არ აქვს და ვარჯიში ჯერაც არ დაუწყია, როგორ ვირწმუნოთ, რომ ამ გუნდში ფინანსური საკითხები მოგვარებულია?! ჩვენ მაგალითისთვის მოვითხოვთ სამედიცინო ცნობებს იმ პოლიკლინიკებიდანაც, სადაც გუნდებმა სამედიცინო შემოწმება გაიარეს.

**— მოთხოვნები ნელ-ნელა იზრდება...**

— თქვენი აზრით, ასე უნდა იყოს?

**— პროფლიგა და ფედერაცია უფრო მკაცრნი უნდა იყვნენ და მოთხოვნებიც შესაბამისად უნდა გაიზარდოს... ქომაგებიც ასე ფიქრობენ...**

— ყველაფერს ერთბაშად ვერ გააკეთებ. ამ მხრივ ნელ-ნელა წინ მივიწევთ, წლეულს შარშანდელზე მეტს გავაკეთებთ, გაისად უფრო მეტს... ერთი კი არის, არავის დავინდობთ. თუ გვსურს მაღალი დონის ფეხბურთი და ჩემპიონატი, ყველას ერთი გზა უნდა გვქონდეს. მართალია, ორიოდ დღის წინ კლუბებისგან ფინანსური გარანტიები მივიღეთ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მათ უმაღლესში თამაში უკვე გარანტირებული აქვთ, ფინანსურის გარდა კიდევ უამრავი საკითხია. პროფლიგის კომისია ორშაბათიდან საფინანსო გარანტიების წარმომავლობის შესწავლას რომ დაიწყებს, პარალელურად, კლუბებს საჭირო რეკომენდაციებსაც მისცემს. ჩემპიონატის დაწყებამდე ორი კვირით ადრე კი კომისია საკლუბო საქმეებს გადაამოწმებს, ურჩების მიმართ კი უმკაცრეს ზომებს მიიღებს. ჩვენთვის მთავარი ხარისხია და არა რაოდენობა.

**— სხვათა შორის: „ჩიხურას" ნაცვლად უმაღლეს ლიგაში რომელი გუნდი ითამაშებს?**

— ჯერ ვერ გეტყვით, 13-გუნდიან ჩემპიონატს ვერ ჩავატარებთ, ამიტომ უმაღლეს ლიგას ერთი გუნდის დამატება დასჭირდება.

**— 12-გუნდიანი ჩაატარეთ...**

— დებულებით მომავალი ჩემპიონატი 14-გუნდიანი უნდა იყოს. თუმცა როცა პროფლიგის კომისია მუშაობას დაამთავრებს, მერე ვნახოთ... ვიმეორებ, უმაღლეს ლიგაში სათამაშოდ მხოლოდ ფინანსური გარანტიები საკმარისი არ არის, ინფრასტრუქტურაც მოწესრიგებული უნდა იყოს.

**— ჩავთვალოთ, რომ „ჩიხურა" უმაღლეს ლიგაში აღარ არის. მეთოთხმეტე გუნდი რომელი იქნება — „ცხინვალი"?**

— ვერ გეტყვით, ეს ფედერაციის აღმასკომმა უნდა გადაწყვიტოს.

**— ცხინვალელებს აქვთ ფინანსური გარანტია?**

— დიახ, უმაღლესლიგელთა გარდა მხოლოდ მათ გამოთქვეს უმაღლესში თამაშის სურვილი და შესაბამისი ფინანსური გარანტიაც წარმოადგინეს.

**— ანუ უმაღლეს ლიგაში „ჩიხურას" ნაცვლად „ცხინვალი" ითამაშებს?**

— არა, ეს გადაწყვეტილი არ არის. აღმასკომის თანხმობის შემთხვევაში პროფლიგის კომისია „ცხინვალის" ინფრასტრუქტურასაც ისე შეამოწმებს, როგორც სხვა კლუბებისას.

**— სხვათა შორის, გავიგეთ, რომ მომავალი ჩემპიონატის კალენდარი შაბათს მზად იქნება...**

— დიახ. ყოველ შემთხვევაში, დაგეგმილი გვაქვს, რომ კენჭისყრა შაბათს მოეწყოს.

**— ეროვნული გუნდის მწვრთნელთან თარიღები შეთანხმებულია?**

— ცხადია. ჩვენს საშეჯიბრო კომიტეტს ინტენსიური კონსულტაციები ჰქონდა ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან და ნაკრები გუნდების მწვრთნელებთან. ჩემპიონატის ტურების ჩატარების თარიღებიც სწორედ მათთან შევათანხმეთ. ახალ კალენდარში ყველაფერი გათვალისწინებულია.

**— ჩემპიონატი როდის დაიწყება?**

— გაუთვალისწინებელი თუ არაფერი მოხდა, 11 აგვისტოს.

**ჭოლა ინასარიძე**



# გადაწყდა: ქართული კვარტეტი იენაში

## ონიანის მერე სეთურიძე, კანდელაკი და ბარაბაძე

**გადაწყვეტილია**, რომ იენის „კარლ ცაისში" ოთხი ქართველი ფეხბურთელი იქნება — გიორგი ონიანი ყველაზე ადრე ჩავიდა მეორებუნდესლიგურ კლუბში და კონტრაქტიც გააფორმა, დღე-დღეზე კი მას გიორგი სეთურიძე, ილია კანდელაკი და რევაზ ბარაბაძე შეუერთდებიან.

გუშინ სეთურიძეს ვესაუბრეთ, რომელმაც გვითხრა, რომ არანაირი შეფერხება აღარ იქნება — ორშაბათს დილით ყველა საბუთი ხელში მექნება, სამშაბათს კი უკვე „კარლ ცაისში" ვიქნები და 2+1-წლიან კონტრაქტს მოვაწერ ხელსო.

ამ ოთხეულიდან ყველაზე ბოლოს ბარაბაძის ვარიანტი გაიჩარხა. ეს 19 წლის ფორვარდი ბოლოს „დნიპროში" თამაშობდა. სადაც ძირითად გუნდში იშვიათად ხვდებოდა, მაგრამ პერსპექტიული ფეხბურთელად მიიჩნევდნენ და დნეპრისპირელთა მწვრთნელი ოლეგ პროტასოვიც ძალიან აქებდა.

ბარაბაძე სამი თვის წინ წამოვიდა „დნიპროდან" და აქამდე უთამაშებელი იყო.

**ილია ნანობაშვილი**

# ალკმაარმა არველაძეს აიაქსის უფლება მისცა



**„ალკმაარმა"** ვარჯიში განაახლა, შოთა არველაძე კი გუნდს ჯერაც არ შეერთებია. AZ-ის პრესსამსახურის ცნობით, „ალკმაარს" შოთასთვის კიდევ ერთი კვირით გაუხანგრძლივებია შვებულება, რათა მას სხვა გუნდში გადასვლისთვის მოლაპარაკებებში ხელი არ შეეშალოს.

„არველაძემ ძალიან ბევრი გააკეთა „ალკმაარისთვის" და გუნდიდან მშვიდად წასვლა დაიმსახურა" — განაცხადა „ალკმაარის" პრესატაშემ.

ამასობაში, ჰოლანდიურ ვებგვერდებზე უკვე გაჩნდა ინფორმაცია, შოთას მისი ყოფილი კლუბი, ამსტერდამის „აიაქსი" ეპატიჟებაო — ევროპის გრანდთაგანის მწვრთნელ ჰენკ ტენ კატის ქართველი ბომბარდირის შეძენა ძალიან სდომებია.

**ილია ნანობაშვილი**

### ირლანდია

პრემიერლიგა
XVII ტური

დერი 4:1 სლიგო

ლონგფორდი 0:3 შემროკი

დუბლინი 0:1 დროჰედა

უოტერფორდი 2:1 სენტ პატრიკსი

### შვედეთი

სუპერეტა
XIV ტური

სირიუსი 2:1 იონკოპინგი

### ამხანაგური მატჩები

კიკერსი 1:3 თუნი

ბრიუგე 3:0 ოსტენდე



# 20-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი ფინალური ეტაპი

**A ჯგუფი**

სერბეთი 78:80 სლოვენია

საფრანგეთი 92:66 უნგრეთი

**B ჯგუფი**

რუსეთი 78:70 საბერძნეთი

თურქეთი 90:85 ლიტვა

**C ჯგუფი**

ესპანეთი 88:69 ხორვატია

ისრაელი 95:65 მაკედონია

**D ჯგუფი**

საქართველო 102:72 ლატვია

იტალია 86:51 ბულგარეთი

# რუსთავის ოლიმპის მადი-არა



რევაზ ჯიქია

## ჩემპიონები ახალ უნგრელს და მგელ ჯიქიას ელიან

**რუსთავის** „ოლიმპი“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მზადებას აგრძელებს. საქართველოს ჩემპიონები გუნდის გაძლიერებას ლეგიონერებითაც ცდილობენ.

გუშინ რუსთაველთა ბანაკში უნგრელი ლეგიონერი ჩამოვიდა, მაგრამ „ოლიმპის“ მწვრთნელ-ხელმძღვანელობას თავი ვერაფრით მოაწონა და ისევ უკან გააბრუნეს.

როგორც გუნდის პრესსამსახურის უფროსმა მიხეილ ჯორბენაძემ გვითხრა, ამის გამო მისი გვარ-სახელით არც დაინტერესებულან. თუმც უნგრელი ფეხბურთელების გასინჯვა „ოლიმპში“ ამით არ დასრულებულა. ჯორბენაძის თქმით, დღეისთვის კიდევ ერთ მადიარ ფეხბურთელს ელიან.

ჩვენ კი შევიტყვეთ, რომ დიდი შანსია, „ოლიმპს“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე (ან ეტაპებზე) ზუგდიდის „მგლების“ თავდამსხმელი რევაზ ჯიქია შეეშველოს. ჯიქიას ადრე ქუთაისის „ტორპედოში“, „ბათუმსა“ და „ბორჯომში“ უთამაშია, „მგლებში“ გადასვლამდე კი თურქეთში იყო.

კლუბებს შორის მოლაპარაკება მიდის და ვნახოთ, შეძლებენ თუ არა ისინი შეთანხმებას.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# ალადაშვილი უკრაინაში რუსეთისთვის ვარჯიშობს

**კახა ალადაშვილი** რუსულ გუნდში რომ აპირებს გადასვლას, ამას წინათ ვწერდით და მას შემდეგ მხოლოდ ის შეიცვალა, რომ ქართველი მარჯვენაფლანგელი თბილისიდან ისევ კიევში გაბრუნდა და „დინამო 2“-ში ვარჯიშობს.

„დღეს ჩამოვედი კიევში და რაკი მთავარი გუნდი უცხოურ შეკრებაზეა, ფორმის შესანარჩუნებლად დუბლებთან ერთად ვვარჯიშობ. ისევ რუსეთისკენ ვიყურები, რეალური ვარიანტები მაქვს და საბოლოოდ ჩემი ახალი გუნდის ვინაობა მალე გაირკვევა. ქართველებიდან მარტო დავრჩი „დინამოში“: ოთარ მარცვალაძე კიევის „არსენალშია“, დავით იმედაშვილი კი აქ არ დამხვდა. ისიც გუნდის შეცვლას აპირებს“ — გვითხრა ალადაშვილმა.

კიევის „დინამოს“ კახასთვის მეორე შეკრებაზე წაყვანა შეუთავაზებია, მაგრამ ჩვენიანი უარობს, ზამთარშიც ვიყავი „დინამოს“ ძირითადთან ერთად შეკრებაზე, მაგრამ დაიწყო ჩემპიონატი და მთელ წრეში მხოლოდ ხუთ-ექვსჯერ მოვხვდი განაცხადშიო...

— ჩემი თხოვნა იყო, რომ „დინამომ“ გამყიდოს და არა გამანათხოვროს. იმედია, ასეც იქნება. ერთი ვიცი, რომ ყველაფერი იქით მიდის, კარგ რუსულ გუნდში გადავალ“.

**ილია ნანოზაშვილი**

# დუშან უჰრინი: ოვონო დინამოში უნდა იყოს

**თბილისის** „დინამო“ გერმანულ შეკრებაზეა და ვიდრე კიდევ ორ მატჩს ითამაშებდეს, მწვრთნელმა დუშან უჰრინმა თქვა, რომ აუცილებლად სჭირდება გაბონელი მეკარე დიდიე ოვონო. კლუბის ხელმძღვანელობამ კი ფეხბურთელთან და მის კლუბებთან მოლაპარაკებები უკვე მოამთავრა და კონტრაქტის გაფორმებამდე ფორმალობაღა დარჩა — კამერუნელებმა ოვონოს გათავისუფლების ფურცელი უნდა გამოაგზავნონ.

გერმანიაში მყოფი „დინამოსგან“ კიდევ ერთი ახალი ამბავი ისაა, რომ მწვრთნელი გუნდიდან სანდრო იაშვილის წასვლის შემდეგ ან კამერუნელ ფორვარდ რაიმონდ ვოუკოუეს დაიმატებს, ანაც „დინამოსთან“ ახალჩასულ ჯორჯ აკირემის, ვინც „გერასთან“ 7:0 მოგებულ მატჩში ჰეთ თრიქი შეასრულა.

მოკლედ, ამ შეკრების შემდეგ „დინამოს“ შემადგენლობა უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის ცნობილი იქნება, საქართველოს ჩემპიონატამდე კი თბილისელები ერთ-ორ ფეხბურთელს ალბათ კიდევ დაიმატებენ.

„დინამოს“ გერმანული შეკრების მორიგი მატჩი დღეს „ერფურტთან“ აქვს, ხოლო ზეგ „კარლ ცაისთან“ ითამაშებს, სადაც ამ დღეებში გიორგი ონიანი გადავიდა და დღეს-ხვალ სხვა ქართველებსაც ელიან.

**კობა ინასარიძე**



# ვადუცის ახალი ბრაზილიელი

**უეფას** თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „დინამოს“ მეტოქე ლიხტენშტაინის „ვადუცი“ შემადგენლობას აძლიერებს. ბრაზილიელებით უხვმა „ჯუჯებმა“ კიდევ ერთი ბრაზილიელი ფეხბურთელი შეიძინეს — ალეშანდრე და სილვა ალვეშს კლუბმა ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

26 წლის ალვეში ნახევარმცველია, გასულ სეზონში კი ესპანეთის სეგუნდა დივიზიონის კლუბ „ლორკაში“ თამაშობდა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ბელხატუვმა ნულებით დაიწყო

**დიუსელდორფში** შეკრებაზე მყოფმა პოლონურმა „გკს ბელხატუვმა“ პირველი ტესტ-მატჩი გამართა — „ამერის“ საუეფასთასო მეტოქე ბულგარულ „ლიტექსს“ უგოლოდ გაეყარა.

„ბელხატუვის“ მწვრთნელმა ორესტ ლენჩიკმა ასეთი შემადგენლობა ათამაშა:

*I ტაიმი: საპელა, კოვალჩუკი, კოტი, სტოლარჩუკი, პოპეკი, ჯრობელი, სტრაკი, პეტრაშეკი, ბარგებოვსკი, ჩვალიბოგოვსკი, კოსტლი.*

*II ტაიმი: ლეხი, კოვალჩუკი, გროძიცკი, მაგდონი, კომოროვსკი, ტოსიკი, სტრაკი, რახვალი, ჩვალიბოგოვსკი, ბარგებოვსკი (პოზნიაკი 58), ზავოძინსკი.*

მომდევნო ტესტ-მატჩებს პოლონელები თელ ავივის „მაკაბისთან“ და, სავარაუდოდ, ბუქარესტის „სტიაუასთან“ გამართავენ.

ისიც ვთქვათ, რომ „ბელხატუვმა“ მოაგვარა პერუელი ნახევარმცველის, 24 წლის ალეხანდრო გუსტავო სანჩეს რეიესის ტრანსფერი და სამწლიანი კონტრაქტიც გაუფორმა.

**ილია ნანოზაშვილი**

# სკოლბურთით ყველა კმაყოფილია



გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში პრესკონფერენცია გაიმართა, რომელიც ახლახან დასრულებულ „პეპსის თასის“ გათამაშებას მიეძღვნა. შეგახსენებთ, რომ ფინალურ მატჩში, რომელიც ქობულეთში გაიმართა, ზუგდიდის პირველი სკოლის გუნდმა თბილისის 87-ე სკოლა პენალტების სერიით დაამარცხა. პრესკონფერენციაზე ტურნირის ორგანიზატორებთან ერთად ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი ევგენი ევყანაშვილიც იყო...

**ნოდარ ახალკაცი,** სფფ-ის პრეზიდენტი: სკოლბურთი ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტია, რაზეც მისი მასშტაბებიც მეტყველებს. რაოდენობამ 2,5-ჯერ იმატა, მომავალ წელს კიდევ მეტს ველით...

...რა თქმა უნდა, სკოლბურთის პოპულარიზაციაზე ძალიან იმოქმედა რეგიონებში გაკეთებულმა მაღალი დონის ხელოვნურსაფარიანმა მოედნებმა, სწორედ ამან მოგვცა საშუალება, რეგიონებში ჩაგვეტარებინა ფინალური ეტაპები. რაც შეეხება ქობულეთში გამართულ დასკვნით ეტაპს, ესეც ჩვენი პროექტის ნაწილი იყო. ბევრი ბავშვი საერთოდ პირველად იყო ზღვაზე, საფუძველი ჩაეყარა ახალ ნაცნობობას, მეგობრობას...

–გამოჩნდა ბევრი ნიჭიერი ბავშვი და ფედერაცია კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მათ სამომავლო განვითარებას...

–წლეულს ფეხბურთის ფედერაციამ ქალაქის მერიასთან, განათლების და მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროებთან და კომპანია „პეპსისთან“ მემორანდუმი გააფორმა, რაც კიდევ სამი წლით თანამშრომლობას ნიშნავს. იმედია, ეს პროექტი შემდგომშიც გაგრძელდება.

**ლევან კასრაძე,** კომპანია „პეპსის“ მარკეტინგის მენეჯერი: ჩვენი კომპანია კმაყოფილია ამ გათამაშების შედეგებით, თუნდაც იმიტომ, რომ შარშანდელთან შედარებით მეტი ბავშვი ჩაერთო საქმეში...

–კომპანია კმაყოფილია ფედერაციასთან თანამშრომლობითაც და დაინტერესებულია მსგავსი ღონისძიებებით. თამამად ვიტყვი — ეს ტურნირი ერთ-ერთი საუკეთესო პროექტია.

**ევგენი ევყანაშვილი,** ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი: მადლობა ტურნირის ორგანიზატორებს, რათა ასეთი ლამაზი დღეები გვაჩუქეს. ყველამ დიდი სიამოვნება მიიღო თამაშითაც და დასვენებითაც. იმედია, ასეთი ტურნირები კიდევ იქნება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# დავით სირაძემ ისევ გაიტანა

**დავით სირაძის** „პადერბორნი“ მეტოქეებს უკვე „ინდობს“, გოლების რაოდენობა გაანახევრა — თუ აქამდე საკონტროლო მატჩებში „პადერბორნს“ 12-12 გოლი გაჰქონდა, „კლეინენბირგენს“ ოდენ 6:0 აკმარა.

სირაძე მწვრთნელმა ისევ მეორე ტაიმში შეუშვა მოედანზე, თუმც, წინა მატჩისგან განსხვავებით, ჩვენებურმა ამჯერად თავი გამოიჩინა. როგორც კლუბის ვებგვერდი წერს, სირაძემ „პადერბორნის“ მეოთხე გოლი ინდივიდუალური გარღვევით გაიტანა.

ეს სირაძის მეორე გოლია მესამე ტესტ-მატჩში.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიორგი დემეტრაძე სუპერგოლით დაბრუნდა



**რამდენი** ხანია, გიორგი დემეტრაძეს არც დონეცკის „მეტალურგში“ და არც საქართველოს ნაკრებში გოლი არ გაეტანა. ჩვენიანს დონბასელთა ძირითადში ადგილი დაკარგული ჰქონდა და კარგა ხანს 18-კაციან განაცხადშიც ვერ ხვდებოდა, ახალი სეზონიდან კი, ვინ იცის...

„მეტალურგს“ ბელგიელი ჯოს დაარდენი წვრთნის, ვინც უკრაინის ჩემპიონატის დასრულებამდე ორი-სამი ტურით ადრე მივიდა გუნდში.

დონეცკელებმა გუშინ პირველი ტესტ-მატჩი გამართეს სვერდლოვსკის „შახტიორთან“ და 4:2 მოიგეს — დემეტრაძემ პირველი ტაიმი ითამაშა და ულამაზესი გოლიც შეაგდო: 30 მეტრიდან საჯარიმო დაარტყა და ბურთი ხარიხიდან ასხლეტილი ჩაეშვა კარში.

„მეტალურგში“ ხუთი ნომინალური თავდამსხმელია და, ცხადია, გიორგის ძირითადში მოხვედრა გარანტირებული არ აქვს. მისი კონკურენტები ზეზე, ლემბი, ოკუდოვა და კოსირინი არიან, თუმც უკრაინულ პრესის ვარაუდით, დაარდენი უფრო დემეტრაძე-ოკუდოვას წყვილზე გააკეთებს აქცენტს.

**ილია ნანობაშვილი**

# ირაკლი მოდებაძის ორი გზა

## კარპატი ან ვენტსპილსი?



**ირაკლი მოდებაძის** ზაპოროჟიეს „მეტალურგში“ დარჩენას კვლავ კითხვის ნიშანი უწერია. ქართველ ფორვარდს კონტრაქტი დეკემბერში ეწურება და კლუბის ხელმძღვანელობას მის გაგრძელებაზე ვერ შეუთანხმდა. და თუ კონტრაქტი არ გაგრძელდა, მოდებაძე ამ ზაფხულსვე დატოვებს „მეტალურგს“.

„გეცოდინებათ, გუნდს შეკრებაზე არ წავყევი. ისინი ხვალ ჩამოდიან ზაპოროჟიეში, მანამდე კი დუბლებში ვვარჯიშობ. მე ახალი კონტრაქტი მსურს, პირობებია შესაცვლელი და ჩემი მოთხოვნები კლუბის ხელმძღვანელობისას არ დაემთხვა. ამ დღეებში კიდევ დაველაპარაკებთ და ვნახოთ, რა გადაწყდება“ — გვითხრა მოდებაძემ.

საინტერესო კია, ზაპოროჟელებს ახალი თავდამსხმელი არ დაუმატებიათ, არადა, ამ რგოლმა წინა სეზონი აშკარად ჩააგდო — გატანილ გოლთა გრაფაში „მეტალურგი“ ერთ-ერთი ბოლო იყო უმაღლეს ლიგაში და ისიც, მეტწილად მცველ-ნახევარმცველებს გაჰქონდათ ბურთები.

ირაკლიმ გვითხრა, მოწვევა მაქვს სხვა გუნდიდან, მაგრამ სანამ „მეტალურგის“ მესვეურებთან არ გავარკვევ საქმეს, მანამდე ვერ დავაკონკრეტებო.

ერთ-ერთი უკრაინული წყაროდან კი შევიტყვეთ, რომ მოდებაძით ლვოვის „კარპატი“ და ლიტვური „ვენტსპილსი“ ყოფილან დაინტერესებულნი, თუმც ბალტიისპირული ვარიანტი ნაკლებად მიმზიდველი უნდა იყოს...

**ილია ნანობაშვილი**

# აქ ვერაფერი მახარებს

## გიგიაძე კრივბასში კონტრაქტმა მიაჯაჭვა



**„ერთადერთი,** რაც „კრივბასში“ მაჩერებს, კონტრაქტია. ეს საკითხი ამ დღეებში გადაწყდება. სანამ ყველაფერი არ გაირკვევა, ვერ გეტყვით, დავრჩები თუ არა კრივოი როგში“ — უთხრა ვასილ გოგიაძემ უკრაინელ ჟურნალისტებს და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ 29 წლის ქართველ ფორვარდს კონტრაქტი 2008 წლამდე აქვს.

უკრაინული „სპორტ-ექსპრესი“ გოგიაძეს სხვადასხვა თემაზე ესაუბრა, მაგალითად, ვასოს უკრაინულ ჩემპიონატში ზედიზედ 19 პენალტი აქვს გატანილი, რაც რეკორდად ითვლება. მთლიანობაში კი, „კრივბასის“ ლიდერს 25 უკრაინული პენალტიდან 23 გაუტანია.

„რომელ გუნდშიც მითამაშია, ყველგან მანდობდნენ თერთმეტმეტრიანების დარტყმას. ეს ნაღდად საამაყოდ მაქვს. ვერ გეტყვით, რომ რაიმე საიდუმლო მაქვს — უბრალოდ, გამორბენამდე ვწყვეტ, რომელ კუთხეში უნდა გავგზავნო ბურთი. მეკარეების მოძრაობას ყურადღებას არ ვაქცევ — ზოგნი დარტყმამდე ვეფხვივით ხტებიან ერთ კუთხეში, მაგრამ მე მაქვს ჩემი მიზანი, რომლის გამოყენებაში, ძნელია, ხელი შემიშალონ“.

ვასოს ორჯერ აუღეს პენალტი უკრაინაში და კარგად ახსოვს, რომელმა მეკარეებმაც „აწყენინეს“ — „ჩერნომორეცის“ ვიტალი რუდენკომ და ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ ანდრეი გლუშჩენკომ.

„კრივბასის“ კაპიტანმა არდადეგები საქართველოში გაატარა და უკრაინელ ჟურნალისტებს გახუმრა, სამშობლოში, ნათესავ-ახლობლებთან მშვიდად როგორ ვიქნებოდიო...

„რა თქმა უნდა, ძალიან დადებითი ემოციებით დავიტვირთე. კარგად დავისვენე. პირველ რიგში, ფსიქოლოგიური ტვირთის მოხსნა მინდოდა. შვებულებაში კვირაზე ოდნავ მეტი ვიყავი — ცხადია, ეს თითქმის არაფერია. ახლა „კრივბასთან“ ერთად იალტაში ვარ შეკრებაზე, რამდენიმე სპარინგ-მატჩი გვაქვს დაგეგმილი, რაც ფორმაში ჩააყენებს გუნდს“.

**ილია ნანობაშვილი**



# ყველაფერი ჩემს ფეხშია

## მჟავანაძის ნაკრებს კლუბი გადაწყვეტს

ზუსტად ერთი წლის წინ ოდესის „ჩერნომორეცის“ ან უკვე ყოფილ თავკაც სემიონ ალტმანს და საქართველოს ნაკრების მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერს ოდესის კაფე „პიკნიკში“ პროფესიული საუბარი ჰქონდათ. მაშინ გერმანელი სპეციალისტი იმედოვნებდა, რომ „მეზღვაურთა“ გუნდში მოთამაშე საქართველოს ნაკრების სამ პოტენციურ ფეხბურთელს რეგულარული პრაქტიკა ექნებოდა კლუბში, მაგრამ ასე არ მოხდა. გიორგი შაშიაშვილი და კახა მჟავანაძე, შესაბამისად, თბილისის „დინამოში“ და მახაჩყალის „ანჟიში“ გაანათხოვრეს. მთელი მეორე წრე გაუცდა ილია კანდელაკსაც. ახლა შაშიაშვილი და კანდელაკი „მეზღვაურები“ აღარ არიან, მჟავანაძეს კი დაღესტანურ კლუბში განათხოვრების ვადა ამოეწურა და ისევ ოდესას მიაშურა. ოდესელებს ახლა საკადრო ცვლილებები აქვთ და მჟავანაძეც, შესაძლოა, ისევ იქცეს ძირითადის ფეხბურთელად, ამიტომ ჩვენებურით ისევ დაინტერესდნენ უკრაინელი ჟურნალისტები...

— მიხარია, რომ ისევ გიხილეთ უკრაინაში...

— გმადლობთ თბილი სიტყვებისთვის. სიმართლე გითხრათ, მეც მიხარია, რომ „ჩერნომორეცში“ დავბრუნდი. „ანჟიში“ განათხოვრების ვადა დამისრულდა, ისინი ისევ მთხოვდნენ, წლის ბოლომდე დავრჩენილიყავი, მაგრამ „ჩერნომორეცის“ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ოლეგ მარუსმა დამირეკა და მითხრა, რომ უკრაინაში უნდა დავბრუნდე, რაც დიდი სიამოვნებით გავაკეთე.

— რატომ?

— საქართველოში ზღვისპირა ქალაქში გავიზარდე და ოდესა ძალიან მაგონებს მას. თან „ჩერნომორეცთან“ კიდევ მაკავშირებს კონტრაქტი.

— **დიდი ხნით?**

— კიდევ ნახევარი წლით, მაგრამ ამაზე საუბარი ჯერ ადრეა. „ჩერნომორეცს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს — ვიტალი შევჩენკო, რომელიც შეაფასებს ჩემს შესაძლებლობებს.

— ესაუბრეთ ახალ მწვრთნელს?

— ბაზის ჰოლში რამდენიმე სიტყვა გავცვალეთ. ჩემი აზრით, ყველაფერი უსიტყვოდაც გასაგებია — დავამტკიცებ, რომ საჭირო ვარ გუნდისთვის, ვითამაშებ. წინააღმდეგ შემთხვევაში კი...

— **მახაჩყალაში თქვენი საუკეთესო წლები გაატარეთ. გქონდათ ისეთი ფეხბურთელის რეპუტაცია, რომელსაც დაცვაში ყველგან შეუძლია თამაში, ასევე საყრდენი ნახევარმცველის ფუნქციაც შეგითავსებიათ ხოლმე. რა ადგილზე გირჩევთ თამაშს შევჩენკო?**

— „ოლიმპიასთან“ ტესტ-მატჩშიც და ვარჯიშზეც მარჯვენა ფლანგზე ვიდექი, ისევე, როგორც სემიონ ალტმანის დროს იყო.

— **რამ შეგიშალათ ხელი, ძირითადში გეთამაშათ ალტმანის დროს?**

— არ ვიცი, ეს უფრო მწვრთნელს უნდა ჰკითხოთ. მისი აზრი ასეთი იყო... თავიდან სტაბილურად ვთამაშობდი და გუნდმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, შემდეგ კი რაღაც შეიცვალა. ერთხელაც ალტმანმა მითხრა: „კახა, უახლოეს პერიოდში ძირითადში შენს ადგილს ვერ ვხედავ“. კლუბის ხელმძღვანელობასთან მაშინვე მოვითხოვე, ჩემს სათამაშო პრაქტიკაზე ეზრუნათ — ასე აღმოვჩნდი „ანჟიში“.

— **როგორ შეაფასებდით „ანჟიში“ გატარებულ პერიოდს?**

— თავიდან საყოფაცხოვრებო პრობლემები შემექმნა, მაგრამ შეიდი-რვა თამაშის ჩატარება მაინც მოვასწარი, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ფეხბურთი იმიტომ ავირჩიე, რომ მიყვარს და არ მსიამოვნებს, როდესაც სათადარიგოთა სკამზე ვზივარ.

— **როგორ ფიქრობთ, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ისევ დაინტერესდება კახა მჟავანაძით?**

— ნაკრებში დაბრუნება კლუბში თამაშების რაოდენობასა და ხარისხზე იქნება დამოკიდებული. ასე რომ, ყველაფერი ჩემს ხელშია, უფრო სწორად, ფეხში.

კოპა ამერიკის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# კოპა ამერიკა 2007
## ვენესუელა. 26 ივნისი–15 ივლისი


AFP

# მასკერანომ ნაკრების ბანკში ანგარიში გახსნა

C ჯგუფი. III ტური

**არგენტინა 1:0 პარაგვაი**

1:0 მასკერანო (79)
**არგენტინა:** აბონდანსიერი, იბარა, ბურდისო, დიასი, ძანეტი, ლუჩო გონსალესი (მასკერანო 67), გაგო, კამბიასო (მესი 67), აიმარი (აიალა 85), ტევესი, პალასიო
**მწვრთნელი:** ალფიო ბასილე
**პარაგვაი:** ბობადილა, დ. ვერონი, კასერესი, მანსური, ე. გონსალესი, ე. ვერა, სანტანა (სანტა კრუზი 81), ა. ტორესი, დოს სანტოსი (ბარეტო 69), ს. კაბანასი, კუევასი (დ. ლოპესი 58)
**მწვრთნელი:** ხერარდო მარტინო
**გაფრთხილება:** ე. გონსალესი, სანტანა, ბურდისო, ბარეტო, პალასიო
**მსაჯი:** ხორხე ლარიონდა (ურუგვაი)
37 000 მაყურებელი

**ალფიო ბასილემ** ძირითადი შემადგენლობის რვა ფეხბურთელი დაასვენა, მაგრამ მაინც მოუგო პარაგვაის, პირველი ადგილი წაართვა და ხერარდო მარტინოს გუნდი მეოთხედფინალში მექსიკას გაუგზავნა, არგენტინას კი პერუ ერგო.

მეოთხედფინალში გასულებიდან მხოლოდ ალფიო ბასილეს შეგირდებმა შეძლეს ჯგუფში 9 ქულის მოგროვება. პარაგვაისთან გამარჯვება მესისა და მასკერანოს „ბრალია“. ისინი შეცვლაზე შევიდნენ და 13 წუთში გოლი შექმნეს. ბარსელონელმა მარცხენა ფლანგზე მეტოქე დააწიოკა და საჯარიმოში ჩააწოდა, მცველმა ბურთი მასკერანოსკენ მოიგერია და ლივერპულელმა უზუსტესად დაარტყა მარცხენა დაბალ კუთხეში. ეს იყო ხავიერ მასკერანოს პირველი სანაკრებო გოლი.

„მე კლუბშიც არ გამაქვს ხშირად — თქვა ნახევარმცველმა — მთავარია, კარგად ვითამაშეთ და მოვიგეთ“.

ალფიო ბასილე: „ცხრა კაცით თავს იცავდნენ და ყველაფერი ვცადეთ მათი დაცვის გასატეხად. ჩვენ ვიმსახურებდით გამარჯვებას, რადგან მოგება მეტოქეზე მეტად გვინდოდა და უკეთაც გავისარჯეთ“.

ტურნირზე ძირითად შემადგენლობაში პირველად მოთამაშე როდრიგო პალასიოს და კარლოს ტევესს ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ ჩაკეტილი პარაგვაის გახსნა ვერ შეძლეს. საუკეთესო შანსი პირველ ტაიმში პაბლო აიმარს ჰქონდა, რომელმაც ლუჩო გონსალესის ჩაწოდებულ ბურთს თავი ვერ დაუმიზნა. მერე ფერნანდო გაგომ და ტევესმა სცადეს შორიდან გატანა.

სალვადორ კაბანას შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ მახვილი კუთხიდან დარტყმული აბონდანსიერიმ მოიგერია.

მეორე ტაიმში პარაგვაელთა კარის ჩარჩო ორჯერ შეტოკდა. ჯერ ტევესმა გაარტყა ძელს, შემდეგ კი პალასიომ დასცხო ბურთს 25 მეტრიდან და ხარიხა შეაქანა.

არგენტინის გულშემატკივრები მესის ითხოვდნენ, რომლის შესვლამაც თავშივე ნახსენები გოლი და ჯგუფში პირველი ადგილი მოუტანა წინა „კოპას“ ფინალისტს.

ხერარდო მარტინომ გოლიდან ორ წუთში როკე სანტა კრუზი შეუშვა შეტევის გასაძლიერებლად, მაგრამ კოლუმბიასთან ჰეთ თრიქის შემსრულებელმა ფორვარდმა ვერ იხეირა.

**ვაჟა ხუციშვილი**

**მეოთხედფინალი**

**7 ივლისი:** ვენესუელა — ურუგვაი; ჩილე — ბრაზილია
**8 ივლისი:** მექსიკა — პარაგვაი; არგენტინა — პერუ

# კოლუმბიამ ოქროს მოგონება წაიღო

**კოლუმბია 1:0 აშშ**

1:0 კასტრილიონი (14)
**კოლუმბია:** საპატა, ზუნიგა, ლ. პერეა, იეპესი, არისალა, ვიაფარა (ვ. მარინი 55), ბანგუერო, კასტრილიონი, მ. ტორესი (დ. ფერეირა 85), როდალეგა, ვალოიესი (ჩიტივა 78)
**მწვრთნელი:** ხორხე ლუის პინტო
**აშშ:** გუზანი, ბოსველი, პირსი, მური, კალიფი, მეპი (დევისი 65), ბეკერმანი, კლერკი, კლიესტანი, ჯონსონი (ნგუიენი 72), ე. გომესი (გევენი 46)
**მწვრთნელი:** ბობ ბრედლი
**გაფრთხილება:** მური, კლიესტანი, პერეა, საპატა, ვალოიესი, საპატა
**გაძევება:** საპატა (87)
**მსაჯი:** მანუელ ანდარსია (ვენესუელა)
37 000 მაყურებელი

**ტურნირზე** ექსპერიმენტული შემადგენლობით ჩასულმა აშშ-მ სამივე მატჩი წააგო, როგორც ეკვადორმა და შინ დაბრუნდა. კოლუმბიამ და მისმა მეტოქემაც თამაშამდე იცოდნენ, რომ მეოთხედფინალში ვერ გავიდოდნენ. „კოპა ამერიკას“ დაწყებამდე კონკაკაფის ოქროს თასის მომგებმა აშშ-მ სამი მარცხი გაიყოლა სახლში ვენესუელადან, კოლუმბიელებს კი სანუგეშოდ ის გაჰყვათ, რომ ოქროს მომგები დაამარცხეს პარაგვაისთან და არგენტინასთან განადგურების შემდეგ.

ამერიკელ ერკულეს გომესს მატჩის დასაწყისშივე შეეძლო ანგარიშის გახსნა. საჯარიმო დარტყმით ბურთი კედელს გადაავლო და კარის ჩარჩოს გაარტყა. ცოტა ხანში კი კოლუმბია დაწინაურდა — ხაიმე კასტრილიონი მცველს დაუსხლტა და თავით გაიტანა.

მატჩის დაწყებიდან ნახევარი საათის თავზე კოლუმბიელებს სხვაობის გაზრდის შანსი მიეცათ, რადგან გუზენმა როდალეგა საჯარიმოში წააქცია და მსაჯმა პენალტი დანიშნა. როდალეგამ თერთმეტი მეტრიდან დაარტყა, მაგრამ მეკარემ მოიგერია.

პირველი ტაიმის მიწურულს ამერიკელი სესარ ვალოიესი საპატასთან პირისპირ გავიდა და ბურთი კარს ააცილა.

მეორე ნახევრის მეტმა ნაწილმა საგოლე მომენტების გარეშე ჩაიარა და თამაშის მიწურულს კოლუმბიელებს ორჯერ შეეძლოთ გატანა.

86-ე წუთზე კი იშვიათი რამ მოხდა — მეკარე რობინსონ საპატა დროის გაყვანისთვის გააძევეს. ვენესუელელ მსაჯს მანუელ ანდარსიას არ მოეწონა საპატას საქციელი, რომელიც საკუთარ ბუცს ატრიალებდა ხელში და დროის მოპარვას ცდილობდა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ამერიკელებმა გაიტანეს და თამაშგარის გამო არ ჩაუთვალეს. გოლის ავტორი კასტრილიონი კარში ჩადგა, რადგან კოლუმბიელებს სამი შეცვლა გაკეთებული ჰქონდათ. საპატა კი გაძევებას აპროტესტებდა და მოედნიდან მის გაყვანას თითქმის ორი წუთი დასჭირდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 3 | 3 | 0 | 0 | 9:3 | 9 |
| პარაგვაი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:2 | 6 |
| კოლუმბია | 3 | 1 | 0 | 2 | 3:2 | 3 |
| აშშ | 3 | 0 | 0 | 3 | 2:8 | 0 |

## გროსო სავაჭროდ წავიდა

**„ინტერის“** მცველი ფაბიო გროსო დღეს საფრანგეთში ჩავა „ლიონთან“ პირად კონტრაქტზე სავაჭროდ. მსოფლიოს ჩემპიონი ფეხბურთელის სანაცვლოდ ფრანგები დაახლოებით 5 მილიონ გირვანქას იხდიან, გროსოს კი ოთხწლიან კონტრაქტს და მილიონ 400 ათასს სთავაზობენ. „პალერმოს“ ყოფილი მცველი „ინტერმა“ შარშან, მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე იყიდა, მაგრამ გასულ სეზონში ტრავმების გამო ძირითად შემადგენლობაში ვერ დამკვიდრდა.

## რეჯინალდომ ია მიატოვა

**„პარმამ“** დაადასტურა, რომ „ფიორენტინადან“ ბრაზილიელი ფორვარდი რეჯინალდო იყიდა. პარმელები შეტევას აძლიერებენ და ჯუზეპე როსის ამბავსაც ელიან, რომელიც „მანჩესტერს“ ეკუთვნის და ტოსკანურ კლუბშია განათხოვრებული. თუ როსი დარჩა, რეჯინალდოსთან ერთად ძლიერ შემტევ წყვილს შექმნის.

23 წლის ბრაზილიელმა ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მას „ფიორენტინამდე“ „ტრევიზოში“ უთამაშია, სადაც 6 სეზონი გაატარა, „იებში“ კი შარშან ზაფხულს გადავიდა.

## მკერდშენგრეული მატერაცის ჩივილი

**მარკო მატერაცი** სამ ინგლისურ გაზეთს — „სანს“, „დეილი მეილს“ და „დეილი სტარს“ სასამართლოში უჩივლებს. სამივემ დაწერა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში, იტალიელმა ზიდანი პროვოკაციაზე წამოაგო და ამიტომაც მოხვდა მკერდში ფრანგული თავი. მატერაცი კი პროვოცირებას უარყოფს და უნდა, რომ სამართალს პური აჭამოს.

„გაზეთებში ტყუილი ეწერა და მათ ბოდიშის მოხდა მოუწევთ, რადგან მარკოს რეპუტაცია შეილახა“ — თქვა იტალიელის ადვოკატმა სტივენ შეფერმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ინტერს კოვაჩი გაახსენდა

**იტალიური** მედიის ცნობით, მილანის „ინტერი“ რადოსლავ კოვაჩით დაინტერესდა. „შავ-ლურჯებს“ შუა ხაზის გაძლიერება სურთ და ამიტომაც მიადგნენ მოსკოვის „სპარტაკის“ ჩეხ ნახევარმცველს, რომელსაც დაცვაც ეხერხება და შეტევაც.

27 წლის კოვაჩმა შარშან ჩემპიონთა ლიგაში „ინტერის“ წინააღმდეგ ითამაშა, მანამდე კი მსოფლიოს ჩემპიონატზე შეხვდა იტალიის ნაკრებს.

მისი კონტრაქტი მომავალ ზაფხულს იწურება და „ინტერი“ „სპარტაკს“ ახლა 3 მილიონ გირვანქას სთავაზობს.

## მარადონა — 2

**არგენტინელ** ფორვარდ ეზეკიელ ლავესის ყიდვა „ნაპოლის“ უნდა. ახალ მარადონად მონათლულმა ფეხბურთელმა მედიის ყურადღება სამი წლის წინ მიიპყრო, როცა 19 წლისამ „სან ლორენსოს“ შემადგენლობაში 6 გოლი გაიტანა. იგი ახლა 22 წლისაა და კარიერის გაგრძელება ევროპაში სურს, სადაც ნეაპოლელთა გარდა, „ატლეტიკოც“ ეპატიჟება.

გაზეთ „კლარინის“ ცნობით, „ნაპოლი“ არგენტინელებს 3 მილიონ 500 ათას გირვანქას, ფეხბურთელს კი ხუთწლიან კონტრაქტს სთავაზობს.

## დინამო გვინეურად შეუტევს

**„ლე მანის“** გვინეელი ფორვარდი ისმაელ ბანგურა კიევის „დინამომ“ იყიდა და ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

„ბანგურა ნაკრების ლიდერია — თქვა „დინამოს“ პრეზიდენტმა იგორ სურკისმა — ვიმედოვნებ, რომ იგი ჩვენს გუნდს გააძლიერებს და ჯილდოების მოგებაში დაგვეხმარება“.

ჯერ „აიაჩოში“, შემდეგ კი „ლე მანში“, გვინეელმა 100 მატჩში 33 გოლი გაიტანა.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბარსელონა მარშალს არა და არ ეშვება


გაბრიელ მილიტო (მარცხნივ) „ბარსელონას" მიუახლოვდა

**არგენტინელ** გაბრიელ მილიტოს „ბარსელონას" ფეხბურთელობამდე ერთი ნაბიჯიღა აშორებს. კატალონიური კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ფინანსურ დარგში ფერან სორიანო და სპორტული დირექტორი ჩიკი ბეგირისტაინი ფეხბურთელის წარმომადგენელ ედუარდო გამარნიკს შეხვდნენ და მილიტოს „კამპ ნოუზე" გადაბარგების თაობაზე მოითათბირეს.

კატალონიური მედიის ცნობით, გაბი მილიტოს ბარსელონური ტრანსფერი თითქმის მოგვარებულია. უკვე გადაწყდა, რომ არგენტინელი „ბარსელონაში" მომავალი ოთხი სეზონის განმავლობაში დარჩება და ჯამაგირად წელიწადში 4 მილიონ ევროს მიიღებს. თუმცა ხუან ლაპორტას კლუბმა ახლა გაბის კლუბ „სარაგოსასთან" უნდა მოაგვაროს საქმე. გუშინ არაგონში „ბარსელონას" დელეგაცია ჩავიდა იქაურებთან სასაუბროდ. „სარაგოსას" მხარეს კი კლუბის მფლობელი აგაპიტო იგლესიასი, სპორტული დირექტორი მიგელ პარდესა და ტექნიკური დირექტორი პედრო ერერა წარმოადგენდნენ. არაგონელები და ბარსელონელები შეთანხმებამდე ვერ მივიდნენ, თუმცა, როგორც „ელ მუნდო დეპორტივო" გვამცნობს, ჩიკი ბეგირისტაინი და ფერან სორიანო მაინც მშვენიერ ხასიათზე დაბრუნებულან ბარსელონაში.

„კამპ ნოუს" ხალხმა „სარაგოსას" მილიტოს სანაცვლოდ 15 მილიონი ევრო შესთავაზა. თანაც, ბარსელონელებმა განაცხადეს, რომ ეს თანხა გაიზრდება, თუ გაისად „ბარსამ" მილიტოსთან ერთად ჩემპიონთა ლიგა ან ესპანური პრიმერა მოიგო.

ადრე კატალონიური გრანდის შემოთავაზება იყო 10 მილიონი ევრო პლუს ტიაგო მოტა, თუმცა იგლესიასს „ბარსას" ახლანდელი 15 მილიონიც ეცოტავა და გაბრიელ მილიტო 20 მილიონ ევროდ შეაფასა (რამდენიმე ხნის წინ არგენტინელის მეორე მსურველ კლუბ „იუვენტუსსაც" 20 მილიონი უთხრეს). მოლაპარაკების დასასრულს კი სენიორ იგლესიასი მოლბა და თქვა, რომ მილიტო „ბარსელონაში" შეიძლება 18 მილიონი ევროს საფასურადაც გადავიდეს.

„იუვე" მილიტოს სატრანსფერო მარათონს უკვე გამოეთიშა. ტურინელები პატაგონიელის შესაძენად მადრიდში ჩავიდნენ და იგლესიასს 17 მილიონი ევრო შესთავაზეს, თუმცა „სარაგოსას" პატრონმა 20 მილიონი დაიჟინა და „იუვენტუსმაც" მილიტოზე ოფიციალურად თქვა უარი.

ამბობენ, რომ თავად „მარშალი" (მილიტოს მეტსახელი) „ბარსელონაზეა" შეყვარებული და შანსს არ უშვებს, აგაპიტო იგლესიასს „სარაგოსადან" „კამპ ნოუზე" გაშვების თხოვნით არ მიმართოს. მილიტო ბოლო წლის განმავლობაში თამაშობდა „სარაგოსაში", იქამდე რაც მოხდა კი, ვინძლო ყველამ იცის — არგენტინიდან ჩამოსული მცველი „რეალის" სამედიცინო შემოწმებაზე ექიმებმა დაიწუნეს და „მარშალმაც" „სარაგოსას" მიაშურა.

ახლა გაბი სამეფო თეთრების მოსისხლე ბანაკში გადასვლას აპირებს, სადაც იგი დაცვაში კარლეს პუიოლის კომპანიონი იქნება.

**ლადო ხომერიკი**



# რეალს რეიესი გაუიაფდა...

**ხოსე ანტონიო რეიესის** მომავალი ერთ კვირაში გადაწყდება. „ასის" ცნობით, ლონდონის „არსენალმა" მადრიდის „რეალს" შეატყობინა, რომ მზად არიან, დათმობაზე წავიდნენ და რეიესის სატრანსფერო ღირებულება 14 მილიონ ევროზე ქვემოთ დაწიონ.

„არსენალმა" ხოსე ანტონიო 14 მილიონად ერთი კვირის წინ შეაფასა. ახლა „მეთოფეები" სევილიელ ფორვარდში 10 მილიონ ევროს ითხოვენ, თუმცა მადრიდელებს ეს თანხაც ეძვირებათ. „რეალს" უნდა, რეიესი 7 მილიონ ევროდ იყიდოს...

ფეხბურთელი ამჟამად ლონდონშია და იქაურებს არწმუნებს, რომ „მეთოფეთა" გუნდში დაბრუნებას აღარ აპირებს. რეიესმა არსენ ვენგერს უთხრა, ვერც ლონდონს და ვერც ინგლისურ წეს-ჩვეულებებს ხეირიანად ვერ მივეჩვიეო. ხოსემ გუნდის ხელმძღვანელობას სთხოვა, „რეალს" მოუსმინონ და ესპანელი თავდამსხმელი შედარებით იაფად გაუშვან.

რეიესის დაბრუნება „სევილიასაც" უნდა, მაგრამ ანდალუზიელები 14 მილიონი ევროს გადახდას არ აპირებენ. ხოსე ანტონიოს სურვილი კი მადრიდში დარჩენაა, გუნდში, სადაც იჯარით თამაშობდა და რომელსაც „მალიორკასთან" გადამწყვეტ თამაშში გატანილი გოლებით პრიმერადივიზიონის ჩემპიონობა მოუტანა.

მადრიდის „რეალის" პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა განაცხადა: „რეიესი ლონდონშია, სადაც „არსენალთან" დაკავშირებით თავისი საქმეები უნდა მოაგვაროს. ხოსე ანტონიო რეიესი „რეალისთვის" მნიშვნელოვანი ფეხბურთელია, მას შეუძლია, ჩვენი სამომავლო პროექტის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილად იქცეს."

სამეფო თეთრების შეფმა „მარკასთან" ინტერვიუში ისიც აღნიშნა, „რეალი" თანხების განიავებას არ აპირებს და ახლა რეიესის ამბავი მის მარიფათზეა დამოკიდებულიო.

**ლადო ხომერიკი**

# მადრიდში ბომბს აფეთქებენ
## სავიოლა და რიკელმე რეალში?




**ესპანეთში** ორი სატრანსფერო ბომბის აფეთქებას ელიან. 25 წლის ხავიერ სავიოლა და 29 წლის ხუან რომან რიკელმე, არგენტინელები, რომელთაც „ბარსელონაში" თავის დამკვიდრება ვერ შეძლეს, სავარაუდოდ, მადრიდის „რეალის" სამეფო თეთრ ფორმაში გამოეწყობიან.

„ბაჭია" სავიოლას უკვე ყველაფერი მოგვარებული აქვს „რეალთან" ხელის მოსაწერად მაშინ, როცა მადრიდში ახლახან რიკელმესგან მიიღეს შეთავაზება.

„სანტიაგო ბერნაბეუზე" ფიქრობენ, რომ პატაგონიური დუეტი სამეფო გუნდსაც არგებს და „რეალის" მტერ „ბარსელონასაც" ჯავრისგან ააფორიაქებს.

რიკელმეს აგენტებმა „რეალის" წარმომადგენლებს განუცხადეს, რომ არგენტინელის ოცნება „ბერნაბეუზე" თამაშია. მადრიდშიც სერიოზულად ფიქრობენ რომის შესახებ — მას შემდეგ, რაც კაკამ „მილანის" ერთგულება დაიფიცა, რამონ კალდერონის კლუბმა ჩათვალა, რომ რიკელმე მადრიდულ ინჩასისთვის კაკას მაგივრობას გასწევს.

რომის „ვილიარეალთან" კონტრაქტი 2009 წლამდე აკავშირებს, მაგრამ პატაგონიელი „ყვითლებთან" არ დარჩება. რიკელმე გასული წლის დეკემბერში მწვრთნელ მანუელ პელეგრინისთან კონფლიქტის შემდეგ, „ბოკა ხუნიორსში" გააგზავნეს იჯარით, სადაც ლიბერტადორესის თასი მოიგო.

„ბოკას" ინჩადა რომიზე გიჟურადაა შეყვარებული, მაგრამ არგენტინულ კლუბს რიკელმესთვის იმ ხელფასის გადახდა (4,5 მილიონი ევრო წლიურად) ნამდვილად არ შეუძლია, რასაც „ვილიარეალში" აძლევენ.

„რეალს" კი, ილოცხლეთ, ამის შესაძლებლობა ნამდვილად აქვს. სამეფო თეთრები „ვილიარეალს" 20 მილიონს მისცემენ არგენტინელში, რიკელმეს კი ჯამაგირად იგივე თანხა ექნება, რასაც არგენტინაში აძლევდნენ.

რომი მეორე მადრიდულ გუნდ „ატლეტიკოსაც" აინტერესებს. „ათლეტები" ოცნებობენ, „ვისენტე კალდერონზე" არგენტინელი რიკელმესა და ურუგვაელი დიეგო ფორლანის გამანადგურებელი წყვილი ალადგინონ — ოკეანისგაღმელი ბიჭები ადრე „ვილიარეალში" ერთად თამაშობდნენ, ახლა კი ფორლანი უკვე „ატლეტიკოს" ფეხბურთელია.

**ლადო ხომერიკი**

# იჯარა თუ ყიდვა?
## ოლივეირა სარაგოსას დარჩა

**ბრაზილიელი** რიკარდო ოლივეირა შეიძლება უკვე „სარაგოსას" ფეხბურთელად ჩავთვალოთ. ესპანელებმა „მილანთან" მოილაპარაკეს და ახლა გასარკვევი მხოლოდ ის რჩება, ოლივეირა ესპანეთში იჯარით გადავა თუ იყიდიან.

თუ რიკარდოს საქმე იჯარით გადაწყდა (რასაც ესპანური გაზეთები ვარაუდობენ), „სარაგოსას" ფეხბურთელის საბოლოო გამოსყიდვის უფლებაც ექნება, იმ შემთხვევაში, თუ გაისად „მილანს" 10 მილიონ ევროს გადაუხდის.

რიკარდო ოლივეირათი „ვილიარეალიც" იყო დაინტერესებული. „ყვითლებმა" დიეგო ფორლანი მადრიდის „ატლეტიკოში" გაასხვისეს და ახალი ფეხბურთელის მიყვანა უნდოდათ, მაგრამ „სარაგოსამ" უფრო იაქტიურა. ბრაზილიელის საქმეს კი ცნობილი სატრანსფერო აგენტი, რონალდინიოს ძმა, რობერტო დე ასისი თავკაცობს.

„სარაგოსას" სპორტულმა დირექტორმა პარდესამ იქაურ რადიოსთან ინტერვიუში აღნიშნა, ფეხბურთელთან არავითარი ოფიციალური კონტრაქტი არ გაგვიფორმებია, თუმცა სიტყვიერი შეთანხმება უკვე მიღწეულიაო. ესპანური და იტალიური მედია კი აცხადებს, რომ ოლივეირას სულ ცოტა ხანში ვიხილავთ არაგონში.

**ლადო ხომერიკი**



# მე ფეხბურთი მიყვარს

## არგენტინამ მესის კვარტეტი გა[illegible]ჩია

— არგენტინის ნაკრებში „ბარსელონას“ „ჯადოსნური კვარტეტის“ შესახებ რას ამბობენ?

— ყველა მეკითხება, ოთხივე ერთად — ანრი, ეტოო, რონალდინიო, მესი — თუ ითამაშებთო. რაც ვენესუელაში ჩამოვედი, ჩემთან ძირითადად ამაზე საუბრობენ. იმასაც ამბობენ, რომ გაისად „ბარსამ“ ყველაფრის მოსაგებად უნდა იბრძოლოს. ბიჭების აზრით, გუნდს ლა ლიგის, ჩემპიონთა ლიგისა და კოპა დელ რეის მოგება თავისუფლად შეუძლია. წლეულს, გასულ სეზონთან შედარებით, მართლაც გავძლიერდით და არგენტინის ნაკრების ფეხბურთელთა მოსაზრებაც ნამდვილად რეალურია.

— თქვენ რომ „ბარსას“ მწვრთნელი იყოთ, მესის, ანრის, ეტოოსა და რონალდინიოს ძირითად შემადგენლობაში ერთად დააყენებდით?

— საშინაო მატჩებისთვის კი, მაგრამ გასვლაზე უფრო რთული გადასაწყვეტია. მოედნის ცენტრშიც ხომ უნდა ითამაშოს ვინმემ? ინიესტამ, ხავიმ და დეკუმ გუნდში ადგილი არ უნდა დაკარგონ. ფრანკ რაიკარდს მართლაც რთული საქმის გადაწყვეტა მოუწევს. ჯერ მხოლოდ ის არის გარკვეული, რომ ანრის მოსვლამ უფრო გაგვაძლიერა.

— სამომავალსეზონო „ბარსელონაში“ რა როლს შეასრულებთ?

— მინდა, ფეხბურთით ისევ მივიღო სიამოვნება და, რაც მთავარია, გავიმარჯვო. 2006-07 წლების სეზონში ვერაფერი მოვიგეთ და ყველას რატომღაც მაშინვე დაავიწყდა, თუნდაც ერთი წლის წინ რა ხდებოდა. კატალონიაში დამარცხებას ვერავინ შეურიგდება. კარგი გუნდი გვყავს და ჯილდოებს ისევ მოვიპოვებთ.

**კატალონიურმა „ელ მუნდო დეპორტივომ“ ლეო მესის ვენესუელაში ჩააკითხა. ციცქნა პატაგონიელი ახლა „კოპა ამერიკას“ გათამაშებაში მონაწილეობს, ტურნირის დასრულების შემდეგ კი ისევ „ბარსელონაში“ მოუწევს დაბრუნება...**



— გასულ სეზონში „ბარსას“ რა დააკლდა გამარჯვების მისაღწევად?

— მე ვიცი, რომ არც გამბედაობა და არც ურთიერთშეთანხმება არ აკლდა, რასაც ზოგიერთი გვიკიჟინებს. ახლა არგენტინის ნაკრებში ვარ, რომლის შემადგენლობის ერთსულოვნება ნებისმიერ გუნდს შეშურდება — ჩვენ ქვეყნის ღირსების დასაცავად, არგენტინისთვის ვიბრძვით, აქ ყველა საერთო მიზნით მოქმედებს. „ბარსაშიც“ ზუსტად იგივე ხდება და ვერ გამიგია, რატომ ამბობენ, ამათ მოგება აღარ უნდათო. გვინდა და მერე როგორ...

— თქვენი გუნდის ტრანსფერებს როგორ შეაფასებდით?

— ახალწვეულებზე ადრეც იმდენს ვსაუბრობდით, რომ მათ უცხოებად არასდროს ვთვლიდი... მგონი, დამიჯერებთ, რომ ტიერი ანრი ახლა ნამდვილად არ გაგვიცვნია. მხოლოდ ოფიციალური კონტრაქტიღა იყო საჭირო, თორემ ისედაც შესანიშნავად ვიცოდით, ანრი რა ძალას წარმოადგენს.

— რას ფიქრობთ გაბრიელ მილიტოს „ბარსელონაში“ სავარაუდო გადმოსვლაზე?

— ეს შესანიშნავი იქნებოდა. გაბი დიდებული ფეხბურთელია და ძალიან გამიხარდება, მას „ბარსაში“ თუ ვნახავ. მილიტო გუნდის დაცვას ძალას შემატებს, კლუბს მისნაირი ფეხბურთელები სჭირდება.

— როგორია გაბი, როგორც ცენტრალური მცველი?

— ყველა შესაფერისი მონაცემი აქვს. ძლიერია, სოლიდური და უშუალოდ დაცვის გარდა წინაც კარგად თამაშობს. იგი გამარჯვებულის ფსიქოლოგიის მქონეა და ამას ყველა მატჩში ამტკიცებს — წაგება სასტიკად არ უყვარს. გარდა ამისა, გაბრიელ მილიტო კარგი პიროვნებაა, რომელმაც მეგობრობის ფასი იცის და ჩვენთან მის მოსვლას ამიტომაც შევეგებები. მილიტო და მე ნაკრებში ბევრს ვსაუბრობთ „ბარსელონას“ შესახებ.

— თან გაბი „ანტირეალელია“...

— ამის ახსნა შეიძლება. როცა „რეალში“ თამაში უნდა დაეწყო, სამედიცინო შემოწმებაზე, როგორც შემდეგ გაირკვა, აბსურდული ნაკლი უნახეს — მუხლი არ გივარგა და მაღალ დონეზე ვერ ითამაშებო. მილიტომ მერე ესპანეთში და არგენტინაში კარგი თამაშით „რკინისმუხლიანის“ სახელი დაიმსახურა. „რეალმა“ კი გაბის აწყენინა და მილიტოც ნებისმიერ გუნდში შეიძლება გადავიდეს, გარდა „რეალისა“.

— დიეგო მარადონა ამბობს, რომ თქვენ მასზე უკეთესი იქნებით...

— დიეგოს ძალიან ვუყვარვარ და ჩემზე ყოველთვის კარგს ამბობს. მარადონას სიტყვები არ მძაბავს, პირიქით, მოედანზე უფრო თავისუფლად გავდივარ ხოლმე. აი, რაიმე რომ არ გამომდის, მაშინ კი ვბრაზდები.

— ალფიო ბასილე ლეო მესისგან რას მოითხოვს?

— მწვრთნელი თავისუფლებას მანიჭებს, მოედანზე გადაადგილება და სასურველ პოზიციაზე თამაში შემიძლია. ამიტომაც ვგრძნობ თავს მოხერხებულად ბასილეს სქემაში. აშშ-სთან მატჩისას უფრო მარჯვენა ფლანგზე ვიყავი, კოლუმბიასთან კი სრული თავისუფლება მქონდა.

— მოედანზე ხუან რომან რიკელმეს კარგად უგებთ...

— ასეა. რიკელმე და მე ისე ვუგებთ ერთმანეთს, თითქოს ერთმანეთის აზრებს ვკითხულობდეთ. იგი შესანიშნავი ფეხბურთელია და მასთან ერთად თამაში ადვილია, თუმცა მე ვერონთან ერთად თამაშიც მომეწონა. აქამდე მას კარგად არ ვიცნობდი და მიუხედავად ამისა, საერთო ენა იოლად გამოვძებნეთ. ვერონი დარბის, მეტოქის იერიშებს შლის, ლაზათიან პასებს არიგებს — ერთი სიტყვით, ნამდვილი ოსტატია.

— ლეო მესი ფეხებს არ უფრთხილდება?

— შეხედეთ, ორივე ფეხი ჩალურჯებული მაქვს... კოლუმბიასთან თამაშში ვილაცამ კისერშიც დამკარა, მაგრამ ამას უკვე შევეჩვიე. ამაზე არასოდეს ვფიქრობ, თამაშამდე იმაზე რომ ვინერვიულო, წიხლს ჩამარტყამენ-მეთქი, საერთოდ თავს დავანებებდი ყველაფერს... მე ფეხბურთი მიყვარს და ამ სიამოვნებას მუჯლუგუნებზე ვერ გავცვლი.

# კარლოს 38



**კარლოს ტევესი** „მანჩესტერ იუნაიტედს“ მომავალი ხუთი წლის განმავლობაში ხელფასიან-ყველაფრიანად 38 მილიონი გირვანქა დაუჯდება — ასე დათვალეს ინგლისელმა ჟურნალისტებმა.

მოგეხსენებათ, ბრიტანეთში ინტენსიურად გავრცელებულ ხმათა თანახმად, არგენტინელი ფორვარდი „კოპა ამერიკას“ შემდეგ პრემიერლიგის ჩემპიონთან გააფორმებს კონტრაქტს. დაბეჯითებით ამბობენ, რომ მანჩესტერელები „ვესტ ჰემის“ 23 წლის თავდამსხმელს ერთბაშად კი არ იყიდიან, არამედ „ხანგრძლივი ვადით იქირავებენ და კვირაში დაახლოების 110 ათას გირვანქას დაუნიშნავენ, თუმცა ისიც ბევრჯერ გვითქვამს, რომ ტევესთან დაკავშირებით ვითარება ცოტა ჩახლართულია. კერძოდ, არგენტინელი ვარსკვლავი იურიდიულად ბრაზილიელი მილიონერის, კია ჯურაბჩიანის ფირმის საკუთრებაა და წესით, მის ყველანაირ ტრანსფერს სწორედ ჯურაბჩიანი უნდა აგვარებდეს. მეორე მხრივ, პრემიერლიგის შეფები იმუქრებიან, რომ ტევესს „მანჩესტერში“ სულ არ გაუშვებენ, თუ „მანჩესტერი“ საკომპენსაციო თანხის გვარიან წილს ლონდონურ კლუბსაც არ არგუნებს.

„ნებისმიერი გარიგება „ვესტ ჰემთან“ შეთანხმებული უნდა იყოს“ — თქვა პრემიერლიგის პრესატაშემ.

თავის მხრივ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ იურისტები ირწმუნებიან, რომ უახლოეს დღეებში გამონახავენ ფეხბურთელის მათ კლუბში მშვიდობიანად გადაბარგების გზებს.

„ჩემთვის „მანჩესტერ იუნაიტედი“ საოცარი პერსპექტივაა — შემოთვალა ტევესმა ვენესუელადან — ალექს ფერგიუსონის გუნდი ჩემთვის სანიმუშოა. რა დამავიწყებს, გასულ სეზონში „ოლდ ტრაფორდზე“ გამართულ მატჩს, რომელშიც ვითამაშე. „ვესტ ჰემის“ სახელით გოლის გატანა და გუნდის პრემიერლიგაში დატოვება ჩემთვის დიდი სიხარული იყო, ახლა კი შანსი მეძლევა, თვით „იუნაიტედში“ გადავიდე და ინგლისური ფეხბურთის ვარსკვლავი გავხდე“.

**ბაჟუნა ძიდია**

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

## კევინ კილბეინი

ნახევარმცველი



დაიბადა 1977 წლის 1 თებერვალს პრესტონში
სიმაღლე: 1,84 მეტრი, წონა: 80 კგ
კარიერა: 1995-97 წლები — „პრესტონი“ (48 მატჩი, 3 გოლი),
1997-99 წლები — „ვესტ ბრომვიჩი“ (106 მატჩი, 15 გოლი), 1999-2003 წლები — „სანდერლენდი“ (113 მატჩი, 8 გოლი),
2003-06 წლები — „ევერტონი“ (104 მატჩი, 4 გოლი),
2006 წლიდან — „უიგანი“ (31 მატჩი, 1 გოლი)
1997 წლიდან თამაშობს ირლანდიის ნაკრებში (80 მატჩი, 7 გოლი)



## AUDI Q7

გამოშვების თარიღი: 2006 წელი
სიგრძე: 5,085 მეტრი
სიგანე: 1,984 მეტრი
სიმაღლე: 1,697 მეტრი
წონა: 2 245 კგ
ცილინდრი: 8
ძრავის კუბატურა: 4,2
ავტომატური გადაცემათა კოლოფი
სიჩქარე: 250 კმ/სთ
100 კმ/სთ-ს ავითარებს 5,5 წამში
ფასი: 32 000 გირვანქა

# ოქროს ვარსკვლავი

## მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონი, ბრაზილიელი ფორვარდი რომარიო



# მე! — გავიფიქრე მე

— რა როლი ითამაშა თქვენს პირად და პროფესიულ ცხოვრებაში იმ მსოფლიოს ჩემპიონატებმა, რომლებშიც პირადად მიიღეთ მონაწილეობა?

— ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრება დამაკარგვინა. მსოფლიოს ჩემპიონატების წყალობით, ისეთი საკითხები შემეხო, მანამდე რომ არ მეხებოდა. ერთი სიტყვით, მე აზლანდელი რომარიო გავხდი — საჯარო ფიგურა. პირველი მუნდიალი, რომელშიც ვითამაშე, 1990 წელს იყო. სამწუხაროდ, ის ჩემს პირად სტატისტიკაში შევიდა. არა, სწორად გამიგეთ, თავისთავად მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობა დიდი პატივია და ჩემპიონატიც მშვენიერი იყო, მაგრამ მე მხოლოდ 45 წუთი ვითამაშე, თუ არ ვცდები, ირლანდიის ნაკრებთან და მთელი ჩემი გამოცდილებაც ამით ამოიწურა (ცნობისთვის: სინამდვილეში 1990 წელს რომარიომ 65 წუთი ითამაშა შოტლანდიის ნაკრებთან — fifa.com). 1994 წელი კი ჩემთვის, როგორც ფეხბურთელისთვის, უდავოდ უდიდესი წელიწადი გახლდათ. ოთხი წლის წინანდელის ფონზე, აქ გამიმართლა და შვიდივე შეხვედრაში მივიღე მონაწილეობა. ის თამაშები ბრაზილიური ფეხბურთის ისტორიაში საგანგებო ასოებით შევიდა.

მგონი, ნებისმიერი ფეხბურთელისთვის გასაგებია, რომ მისი ნიჭისა და უნარის სრული გამოვლინებისთვის, საჭიროა მსოფლიოს ჩემპიონატზე თავის გამოჩენა. მიხარია, ერთი სრული ჩემპიონატი და კიდევ 45 წუთი რომ ვითამაშე. მიხარია, ტანჯულ ბრაზილიელ ხალხს თუნდაც რამდენიმე დღით რომ მივანიჭე ბედნიერების შეგრძნება. იცით, ჩვენი ხალხი ფეხბურთს მეტისმეტად სერიოზულად უდგება. 1994-ში ბრაზილიელები ძალიან განიცდიდნენ, რომ მათ ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მთელი 24 წელიწადი არ მოეგო. ჩემპიონატის შემდეგ, სამშობლოში თასით ხელში რომ დავბრუნდით, ხალხის სახეებზე ისეთ გამომეტყველება შევნიშნე, ადრე რომ არ მენახა. განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობას გაეხარდა, მათ, ვინც არ იცოდა, რა გრძნობაა, მისი ქვეყნის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი რომ ხდება. ასე რომ, ჩემი პროფესიული ცხოვრება ფრიად წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს და, შესაბამისად, პირადი ცხოვრებაც ყოველთვის სავსე მქონდა.

— რა განსხვავებაა მსოფლიოს ჩემპიონატსა და იმ შეჯიბრებებს შორის, რომლებშიც მიგიღიათ მონაწილეობა?

— მსოფლიოს ჩემპიონატი უნიკალური შეჯიბრებაა არა მარტო ფეხბურთში, არამედ მთლიანად, სპორტში. თუ შეცდომით ვამბობ, შემისწორეთ, მაგრამ, მგონი, ამქვეყნად ყველა შეჯიბრებაზე მეტ მაყურებელს სწორედ ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატი კრებს. ფეხბურთი მსოფლიოში ყველაზე მეტად უყვართ და ამიტომ, როდესაც ფეხბურთელი მსოფლიოს ჩემპიონატზე მიდის, ის უნებლიედ ცალკე დგება იმ ხალხისგან, რომელიც იქ არასდროს ყოფილა და ვერასდროს წავა. მილიონობით ადამიანის წინაშე შენი ქვეყნის სახელით გამოსვლა საგანგებო სიამოვნებაა, ხოლო თუ გაგიმართლებს და ჩემპიონიც გახდები, შენს ქვეყანას ბედნიერებას მოჰგვრი.

— პირველად რომელ მსოფლიოს ჩემპიონატს უყურეთ?

— 1982 წლის ჩემპიონატს. მე 1966 წელს ვარ დაბადებული და ოთხი წლისა რომ გახლდით, ბრაზილიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. სამწუხაროდ, ის ჩემპიონატი მოგვიანებით ნანახი კადრებით მახსოვს. 1974 წელს რვისა ვიყავი, 78-ში თორმეტის... ასე რომ, პირველი მუნდიალი, რომელიც ნამდვილად დამამახსოვრდა 1982 წლისა გახლდათ. იმ წელიწადს ჩემპიონატს უკვე სხვანაირად ვუყურებდი, რადგან თავადაც დავდიოდი ფეხბურთზე. ჩემს გუნდს ერქვა „ოლარია", ახლა მეორე დივიზიონშია.

ერთი სიტყვით, კარგად 1982 წლის ჩემპიონატს ვუყურე და მინდა გითხრათ, რომ იმ წელიწადს ბრაზილიის ნაკრების ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი გვყავდა, რომელმაც განსაკუთრებით შემაყვარა მსოფლიოს ჩემპიონატი. შემდეგ, 1990-ში ჩემმა 45-წუთიანმა გამოცდილებამ მაჩვენა, რომ მუნდიალს სხვა ძალა და ხიბლი აქვს. მსოფლიოს ჩემპიონატებზე ხალხი ორმაგად აღელვებულია და ყველას პასუხისმგებლობა საგანგებოდ გახლავთ გაზრდილი. თუ პირად ცხოვრებაში რაიმე პრობლემა გაქვს, გვერდზე უნდა გადადო, რათა მუნდიალზე მთელი გულით და თავდადებით ითამაშო.

— როგორც თქვით, 1994-ში ბრაზილიის ნაკრებმა ჩემპიონის ტიტული წინა ჯერიდან 24 წლის შემდეგ მოიპოვა. როგორ ფიქრობთ, მაშინდელმა ჩემპიონობამ შემდეგი წლების წარმატებებს ჩაუყარა საფუძველი?

— რა თქმა უნდა. ჩვენ 24 წლის შემდეგ გავხდით მსოფლიოს ჩემპიონები და ჩვენი წარმატებით შემდეგ თაობებს კარი გავუღეთ.

— პირველ ეტაპზე სამ თამაშში სამი გოლი გაიტანეთ. რა მიზანი გქონდათ საკუთარი თავისთვის დასახული?

— მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ მივდიოდით, სრული შეგრძნება მქონდა, რომ ჩვენს გუნდს ჩემპიონობის ძალა შესწევდა. საქმე ის გახლავთ, რომ მაშინდელმა შემადგენლობამ შესარჩევ ციკლში რამდენიმე გვარიანად რთული მომენტი გადაიტანა. მე ამ ბიჭებს გვიან, ბოლო თამაშისთვის შევუერთდი, მაგრამ რომ მივედი, ვნახე, რომ ისინი უკვე კარგად იყვნენ გამოწრთობილნი. აშკარა იყო, ამ ბიჭებს ბრაზილიური ფეხბურთის ისტორიაში შესვლა შეეძლოთ. საერთოდ, მე თუ მკითხავთ, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონი ხდები, ისტორიის ფურცლებზე განსხვავებულ ადგილს იჭერ იმ ფეხბურთელებთან შედარებით, რომლებმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე, უბრალოდ, ითამაშეს. ჰოდა, როგორც მოგახსენეთ, მაშინდელ გუნდს ჩემპიონობა კოჭებში ეტყობოდა.

ტექნიკური თვალსაზრისით, ჩვენ დიდი გუნდი არ ვიყავით, მაგრამ ერთსულოვნება ნამდვილად არ გვაკლდა. ჩვენი მაშინდელი მწვრთნელი, კარლოს ალბერტო პარეირა ისეთი კაცია, რომელსაც ადამიანთან ურთიერთობაში არაფერი ეშლება. ის ყველასთვის ღიაა და იცის, როგორ შექმნას თანამოაზრეთა კოლექტივი. მას მწვრთნელთა ჩინებული გუნდიც ეხმარებოდა და ყველაფერმა ერთად ჩვენ ტრიუმფისკენ წაგვიყვანა. კიდევ, ძალიან მნიშვნელოვანი იყო იმ ხალხის წვლილი, რომელიც სცენაზე არ გამოჩენილა: მზარეულები, მასაჟისტები, ფიზიოთერაპევტები, ექიმები და სხვა. გარწმუნებთ, ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონები 11 თუ 22 ფეხბურთელის წყალობით კი არ გავხდით, არამედ მთელი ამ 30-35-კაციანი კოლექტივის წყალობით. ამ ჭეშმარიტებაში კოლექტივის უკლებლივ ყველა წევრიც დარწმუნებული გახლდათ. მენტალურად ჩემპიონატის პირველიდან ბოლო წამამდე შემართულნი ვიყავით და მადლობა ღმერთს, ისტორიულ შედეგამდე რომ მიგვიყვანა.



— მსოფლიოს ჩემპიონატზე გატანილი გოლებიდან ყველაზე მეტად რომელი დაგამახსოვრდათ და რატომ?

— როგორც ვთქვით, პირველ ეტაპზე სამ თამაშში სამი გოლი შევაგდე, თითოში თითო, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი პირველი გახლდათ, რუსეთის კარში გატანილი. რატომ? ეს, მსოფლიოს ჩემპიონატებზე ჩემი პირველი გოლი იყო და იმიტომ. კიდევ, სირთულისა და საჭიროების მიხედვით გამოვყოფ ჰოლანდიის კარში გატანილ გოლს, როდესაც ბებეტომ ფრთაზე პირით ხაზამდე მიაღწია და დამიგორა. ბურთს „ბატე პრონტო" დავარტყი, რაც თხემით დარტყმას ნიშნავს. ეს შესასრულებლად უფრო ძნელია, ვიდრე ბურთისთვის ტერფის გვერდულად მირტყმა.

— ბევრმა თქვა, რომ ბრაზილია — ჰოლანდია 1994 წლის მუნდიალის საუკეთესო თამაში იყო. ეთანხმებით?

— ვერ გეტყვით, ჩემპიონატის საუკეთესო თამაში იყო თუ არა, მაგრამ ჩვენთვის რომ ყველაზე რთული იყო, ფაქტია. მიუხედავად იმისა, რომ 2:0-ს ვიგებდით, ჰოლანდიამ იხტიბარი არ გაიტეხა და ანგარიში გაგვითანაბრა, შემდეგ კი, ცოტა ხანში, რამდენიმე მომენტიც შექმნა ჩვენს კართან. ამ დროს, ცოტა არ იყოს, შევცბით, მაგრამ საბოლოოდ გონს მაინც მოვეგეთ და გავიმარჯვეთ. ერთი სიტყვით, საბოლოოდ 2:1 მოვიგეთ, მაგრამ შეიძლებოდა, თამაში 2:2-ც დამთავრებულიყო. მეტიც, ჰოლანდიელებს შეეძლოთ, ყველაფერი თავიანთ სასარგებლოდ შემოეტრიალებინათ კიდეც და ეს უსამართლობა სულაც არ იქნებოდა, რადგან ორივე გუნდმა ჩინებული ფეხბურთი ითამაშა (ცნობისთვის: ჰოლანდიამ ანგარიში 2:2 გახადა, შეხვედრა კი 3:2 დასრულდა ბრაზილიელთა სასარგებლოდ — fifa.com). ერთი სიტყვით, ვიმეორებ, ჩემი აზრით, ეს იყო ჩვენი ყველაზე რთული თამაში, თუმცა [illegible] ამტკიცებს, რომ ჩვენი ყველაზე რთული თამაში აშშ-სთან იყო, რადგან იქ ლეონარდო გაგვიძევეს და თამაშის დიდი მონაკვეთის განმავლობაში რიცხობრივ უმცირესობაში ვიყავით. თან, ამერიკელთათვის მნიშვნელოვანი დღე იყო, 4 ივლისი, დამოუკიდებლობის დღე.

— ჰოლანდიელებთან თამაში ბებეტოს ზეიმითაც გახლდათ დასამახსოვრებელი. გვიამბეთ, როგორ იყო ეს ამბავი...

— ის ბებეტოსთვის უნიკალური მომენტი იყო. თუ არ ვცდები, მისი ცოლი იმხანად ფეხმძიმედ იყო, თუ ბავშვი რამდენიმე დღის გაჩენილი ჰყავდა, ერთი სიტყვით, ბებეტომ გოლი გაიტანა და ყველამ კარგად იცის, რისი კეთებაც დაიწყო. მასთან პირველი მაზინიო მივარდა, მერე მე ვიყავი და რასაც ის აკეთებდა, იმას ვიმეორებდით. სამის შესრულებით ამ ზეიმმა მთელს მსოფლიოზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

— როდის მიხვდით, რომ ჩემპიონობას ველარავინ შეგეცილებოდათ?

— ვიცი, დღეს ადვილია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ მერწმუნეთ, მეშინაც თავიდანვე მწამდა, რომ ჩემპიონები ჩვენ გავხდებოდით. მე ცხოვრების საუკეთესო ფორმაში ვიყავი და გვერდით დიდებული პარტნიორი ბებეტო მედგა.

ბრაზილიის ნაკრების ნახევარდაცვა მაინც და მაინც ტექნიკური ფეხბურთელებით არ იყო დაკომპლექტებული, მაგრამ ისინი თავიანთ საქმეს საუცხოოდ აკეთებდნენ და, რაც მთავარია, ჭკვიანურ ფეხბურთს თამაშობდნენ. კიდევ, ჩვენი დიდი კოზირი ის იყო, რომ გოლებს იოლად არ ვუშვებდით. კარშიც ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე, ტაფარელი გვედგა.

კიდევ, სათადარიგოთა სკამზე გვეჯდა დიდებული ხალხი. ისინი ნებისმიერ წამს მზად იყვნენ ძირითადის ფეხბურთელებივით სრულყოფილად ჩართულიყვნენ თამაშში, ამიტომ ვიცოდი წინასწარვე, რომ მსოფლიოს ჩემპიონი ბრაზილიის ნაკრები გახდებოდა და ამის დადასტურებაც შემიძლია. საბედნიეროდ, მსოფლიოს ჩემპიონატის წინა ყველა ინტერვიუში იმას ვიმეორებდი, რომ ის მუნდიალი ბრაზილიელთა და უფლის ნებართვით ჩემი იქნებოდა.

— ნახევარფინალის ერთადერთი გოლი თავური დარტყმით გაიტანეთ. როგორ გაიხსენებდით იმ ამბავს?

— ეს საოცარი გოლი იყო. წარმოიდგინეთ, მე, 168 სანტიმეტრი სიმაღლის ადამიანი ავხტი და თავით ვაჯობე შვედებს, რომელთა საშუალო სიმაღლე 183-184 სანტიმეტრი იყო. ასეთი რამ ფეხბურთში, მით უფრო მსოფლიოს ჩემპიონატზე და მით უფრო ნახევარფინალში არ ხდება. იმ გოლმა ბრაზილიის ნაკრები ფინალში გაიყვანა. ის უძლიერესი თამაში იყო, მაგრამ ჩვენმა მაშინდელმა გუნდმა მაინც შეძლო გამარჯვება. საერთოდ, ჩვენი ყველა მატჩი ჩაკეტილი იყო. რუსეთთან 3:0 თუ 3:1 მოგებული პა-

რველი თამაშიდან მოყოლებული (ცნობისთვის: ის თამაში ბრაზილიამ 2:0 მოიგო — fifa.com) უკლებლივ ყველა შეხვედრაში დიდი ბრძოლა გადაგვხდა.

**— თქვენი და ბებეტოს დიდებულ პატრნიორობაზე რას გვეტყოდით?**

— ჩვენ სეულის 1988 წლის ოლიმპიადიდან ერთად ვიყავით და ჩინებულად გვესმოდა ერთმანეთის. როდესაც ნაკრები ვარჯიშებზე ტაქტიკურ ვარიანტებს ამუშავებდა, მე და ბებეტო მაინც და მაინც დიდ მონაწილეობას არ ვიღებდით. ჩვენ ცალკე ვვარჯიშობდით, რადგან ერთმანეთის ავან-ჩავანი საუცხოოდ ვიცოდით.

**— და ბოლოს, იყო ფინალი იტალიის ნაკრებთან, რომელშიც ბევრი გულშემატკივარი ყველაზე მეტად თქვენი და რობერტო ბაჯოს დაპირისპირებას ელოდა. თქვენ როგორ დაინახეთ ის დღე და მართლა იყო თუ არა, რაიმე სახის პაექრობა იმ დღეს თქვენსა და ბაჯოს შორის?**

— მე და ბაჯოს ერთმანეთთან არ გვილაპარაკია. წესისა და რიგის თანახმად, ჩვენ თამაშის წინ ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით. რასაკვირველია, თუნდაც 1:0 რომ მოგვეგო, ჩემპიონობას სხვა გემო ექნებოდა, მაგრამ 0:0-ის მერე პენალტები დაინიშნა და ჩვენ ასე გავიმარჯვეთ. ეს თამაში ჰოლანდიასთან თამაშზე იოლი იყო. გოლის გატანა მე და მაზინიოს შეგვეძლო. შანსი იტალიასაც ჰქონდა. ჩემი აზრით, ეს ლამაზი თამაში არ იყო, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალს უფრო კარგი სანახაობა ეკადრებოდა, მით უფრო, რომ საუბარია ფეხბურთის ორ სკოლაზე, ბრაზილიურსა და იტალიურზე.

ადრეც მოგახსენეთ, რომ ჩვენ მთელი გზის ბოლომდე გასასვლელად ვიყავით მზად, პენალტების ჩათვლით. ამიტომაც ვზივარ ახლა თქვენს წინაშე. ასეთია სპორტის წესი, ერთმა გუნდმა უნდა მოიგოს, მეორემ უნდა წააგოს. იმ დღეს ჩვენ გაგვიმართლა და სამმა მეტოქემ პენალტიდან აცილა მიზანს.

**— რა გაიფიქრეთ, როდესაც ბაჯომ პენალტი აცილა?**

— გავიფიქრე, რომ ჩემს ამოცანას თავი გავართვი და ჩემპიონატის წინ თქმული სიტყვა არ გავტეხე. მე ხომ დავპირდი ხალხს, რომ ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონი გახდებოდა. „მე" — აი, რა გავიფიქრე მაშინ. ამაში რა ვიგულისხმე, იცით? ის, რომ ჩვენ მთელი ჩემპიონატის განმავლობაში, ერთმანეთს მხარში ვედექით და თუკი ამ მუნდიალზე რაიმე გავაკეთე — არადა, მე თუ მკითხავთ, ცხოვრებაში უკეთ არ მითამაშია — მხოლოდ დანარჩენების დახმარებით. ჰოდა, როდესაც ვთქვი „მე", მთელი გუნდი ვიგულისხმე.

**— რა გრძნობა დაგეუფლათ, როდესაც თქვენს გვერდით დუნგამ თასი აღმართა?**

— ეს შეუდარებელი წამია. ასეთი რამ ადამიანს მთელი ცხოვრება თან გდევს. არ მახსოვს, დუნგა იყო თუ ბრანკო, ერთ-ერთმა მითხრა, აქ იდექი და თასს რომ ავწევთ, შენც მოკიდებ ხელსო. ეს ფანტასტიკური იყო. ამას მხოლოდ ის ხალხი გაიგებს, ვისაც ეს თასი აღუმართავს.

# კივუ ისე ჩაიხლართა, რომ გადაიხლართა

## დარჩა ინტერი და... რომა

**კრისტიან კივუს** მომავალი კვლავ გაურკვეველია. ჯერ ამბობდნენ, რუმინელი მცველის „ინტერში" გადასვლა გადაწყვეტილიაო. მერე „ბარსელონა" გამოჩნდა, მოგვიანებით „რეალი", „ნეროაძურიმ" კი ფარ-ხმალი დაყარა. რამდენიმე დღის წინ 26 წლის ფეხბურთელი ცალი ფეხით „რეალში" იყო, მაგრამ, ახლა ამბობენ, კივუ ან „ინტერში" გადავა, ან არსადო...

„ჩვენ ველაპარაკეთ „რომას" სპორტულ დირექტორ დანიელე პრადეს და ვუთხარით, რომ კრისტიანი „რეალში" ან „ბარსელონაში" გადასვლას არ აპირებს. „ინტერის" ვარიანტს განვიხილავთ, მაგრამ ყველაზე რეალური „სტადიო ოლიმპიკოზე" დარჩენაა" — თქვა კივუს აგენტმა ჯოვანი ბეკალიმ.

თუ კივუ „ინტერში" არ გადავა, გაისად „რომას" თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებას შეძლებს და დიდ ხელფასსაც თამამად მოითხოვს. „რეალში" მისი თითქმის შემდგარი ტრანსფერის ჩაშლის მიზეზი სწორედ ხელფასი გახდა. გავრცელებული ცნობით, კივუს სეზონში 7 მილიონი ევრო მოუთხოვია.

ცნობილი ესპანური გამოცემა „მარკა" კი შარში გაეხვია და, შესაძლოა, ფულადი ჯარიმა დაეკისროს, რადგან წერდა, „ინტერის" პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ კივუს ტრანსფერისთვის აგენტებს წინასწარ გადაუხადა 1,5 მილიონი ევროო. მორატი ამას უარყოფს...

**ბოჭკი ბანდელაკი**

# მიკოლი სიცილიაში



**ტურინის** „იუვენტუსმა" და „პალერმომ" ფაბრიციო მიკოლის ტრანფერთან დაკავშირებული მოლაპარაკებები წარმატებით დაასრულეს. 28 წლის თავდამსხმელმა სიცილიელებთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, „ბებერი ქალბატონი" კი 4,5 მილიონ ევროს მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ მიკოლიმ ბოლო ორი სეზონი იჯარით „ბენფიკაში" გაატარა. ამბობდნენ, მომავალ სეზონში იგი კლაუდიო რანიერის დასჭირდებაო, მაგრამ ტურინელებმა საბოლოოდ მაინც მისი გასხვისება გადაწყვიტეს. მიკოლი „ტორინოში" გადასულ დავიდე დი მიკელეს შეცვლის.

„ვადასტურებთ, რომ ფაბრიციო მიკოლი „პალერმოში" გადავიდა 4,5 მილიონი ევროს სანაცვლოდ. ამ თანხას სიცილიელები სამი წლის მანძილზე, ნაწილ-ნაწილ გადაიხდიან" — ნათქვამია „იუვენტუსის" ოფიციალურ განცხადებაში.

გარდა ამისა, „ბიანკონერიმ" ოფიციალურად დაადასტურა ისიც, რომ ოლივიე კაპო 2,4 მილიონ ევროდ გაიყიდა „ბირმინგემში". ხოლო ორი ახალგაზრდა ფეხბურთელი, რეი ვოლპატო და სებასტიან ჯოვინიკო მომავალ სეზონს „ემპოლში" გაატარებენ. ტოსკანელებმა ისინი სანახევროდ გამოისყიდეს.

**გიორგი ბაბაგაძე**

# მილანმა სკამები გაყიდა

**„მილანმა"** უკვე გაყიდა მომავალი სეზონის 30 ათასი აბონემენტი. ამისთვის „როსონერის" ვიცე-პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა ფანებს და ვინ იცის, უკვე მერამდენედ განაცხადა, კაკა არსად წავაო.

„მინდა, ყველა ჩვენმა გულშემატკივარმა იცოდეს, რომ კაკას არ გავუშვებთ. კიდევ ერთხელ გპირდებით, სანახევროდ პრეზიდენტ სილვიო ბერლუსკონის სახელითაც, რომ კაკა არ იყიდება არანაირ ფასად. ასე რომ, ჩვენს ფანებს შეუძლიათ, მშვიდად იყვნენ და დიდი მადლობა მათ გვერდზე დგომისთვის" — განაცხადა გალიანიმ.

როგორც ჩანს, რაც უნდა ეცადოს მადრიდის „რეალი", მაინც არაფერი გამოუვა. ყოველ შემთხვევაში, ამ ზაფხულს. კაკა „მილანში" რჩება.

**გიორგი ბაბაგაძე**

# მასხარა კიჭა



**იტალიური** „მილანი" შვებულებაშია და ფეხბურთელებიც სხვადასხვა კურორტებზე ისვენებენ.

მილანელთა ბრაზილიელი თავდამსხმელი რონალდო ახლა ბრაზილიაშია და ჩანს, დროს უქმად არ კარგავს — ბრაზილიური „გლობოს" ფოტოკორესპონდენტმა მსოფლიოს ერთ-ერთი გამორჩეული ფორვარდი, აი, ასეთ ფორმაში გადაიღო — მასხარას კოსტიუმში გამოწყობილი კიჭა წვეულებაზე მიიჩქარის...

**ბახა ზალამბერიძე**

# სატონი თვალმა დაასრულა

**„ასტონ ვილას"** ფორვარდმა კრის სატონმა თვალის ტრავმის გამო კარიერა დაასრულა. 34 წლის თავდამსხმელმა გასულ სეზონში 9 მატჩი ითამაშა. ტრავმა 23 დეკემბერს, „მანჩესტერთან" შეხვედრაში მიიღო, როცა თავით მეტოქეს შეეჯახა. ინგლისის ნაკრებში ერთხელ, 1997 წელს კამერუნთან უთამაშია.

მას ინგლისის („ბლექბერნში") და შოტლანდიის („სელტიკში") პრემიერლიგა მოუგია.

# ჩრდილოელები ფულემში

**„ფულემმა"** „ასტონ ვილადან" ჩრდილოირლანდიელი ნახევარმცველი სტივენ დევისი შეიძინა. 22 წლის ფეხბურთელმა სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მის სანაცვლოდ 4 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. დევისი მეორე ჩრდილოირლანდიელია, რომელიც „ასტონ ვილადან" გადაიბირეს — მანამდე მცველი აარონ ჰიუზი იყიდეს.

# მალუდას ორშაბათი

**„ჩელსის"** აღმასრულებელმა შეფმა პიტერ კინიონმა განაცხადა, რომ „ლიონიდან" ფლორენ მალუდას ტრანსფერს მომავალ კვირაში მოაგვარებს. ფრანგული კლუბი 13 მილიონ 500 ათას გირვანქას ითხოვს. კინიონი იმედოვნებს, რომ გარიგება ზეგ შედგება, რადგან 10 ივლისს „ჩელსი" აშშ-ში მიფრინავს.

# მვუემბა დაიტოვეს

**„რეინის"** ფრანგი ნახევარმცველი არნოლდ მვუემბა „პორტსმუთმა" იყიდა. 22 წლის ფეხბურთელი გასული სეზონის მეორე ნახევარში ამავე გუნდში იყო განათხოვრებული და გუშინ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. გარიგების ფასი უცნობია.

# ოლიმპიაკოსელი დარკო

**საბერძნეთის** ჩემპიონმა „ოლიმპიაკოსმა" დაადასტურა, რომ „სოსიედადიდან" დარკო კოვაჩევიჩი შეიძინა. 34 წლის სერბმა პირეოსულ კლუბთან ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

კოვაჩევიჩს „ლაციოში", „იუვენტუსში", „შეფილდ უენსდის" და ბელგრადის „პარტიზანში" უთამაშია.

შეგახსენებთ, რომ „სოსიედადი" სეგუნდადივიზიონში ჩაქვეითდა.

# ჩაქუჩი ვილაში

**„ვესტ ჰემის"** კაპიტანი ნაიჯელ რეო-კოკერი „ასტონ ვილაში" გადავიდა. ბირმინგემელებმა მის სანაცვლოდ 8 მილიონ 500 ათასი გირვანქა გადაიხადეს. „ასტონ ვილას" მწვრთნელ მარტინ ონილს ზამთარშივე უნდოდა რეო-კოკერის გადაბირება და არ გამოუვიდა.

23 წლის ფეხბურთელი ახალ გუნდში სტივენ დევისს შეცვლის, რომელიც „ფულემმა" იყიდა.

# იამაიკელი ცხვარი

**პრემიერლიგაში** დაბრუნებულმა „დერბიმ" „შეფილდ იუნაიტედიდან" იამაიკელი მცველი კლოდ დევისი შეიძინა და ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. 28 წლის ფეხბურთელი „ცხვრებს" 3 მილიონი გირვანქა დაუჯდათ.

დევისი „შეფილდში" შარშან ზაფხულს „პრესტონიდან" გადავიდა, სადაც 2005-2006 წლების სეზონში საუკეთესოდ დაასახელეს.

# თურქი გათხოვდა

**„დორტმუნდის"** ნიჭიერი თურქი ნური საჰინი „ფეიენოორდმა" ერთი სეზონით ითხოვა. 18 წლის ნახევარმცველი გერმანული კლუბის ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდებოდა, როტერდამში კი მეტ სათამაშო დროს ჰპირდებიან.

შეგახსენებთ, რომ „ფეიენოორდს" „დორტმუნდის" ყოფილი თავკაცი ბერტ ვან მარვაიკი წვრთნის. სწორედ მის ხელში შედგა ნური საჰინის დებიუტი ბუნდესლიგაში, როცა 16 წლის იყო.

„ფეიენოორდში" საჰინამდე ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი და როი მაკაი მივიდნენ.

# დი მიკელე ტორინოში

**„პალერმოს"** ფორვარდი დავიდე და მიკელე „ტორინოში" გადავიდა. მისი შეძენა „პარმასაც" სურდა, მაგრამ ვერ მორიგდნენ. დი მიკელემ სამწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი და წელიწადში 535 ათას გირვანქას მიიღებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## აშშ

MLS. XVI ტური

კანზასი — ვაშინგტონი 0:1; ჰიუსტონი — ნიუ იორკი 4:0

# მსოფლიოს 2007 წლის U-20 ჩემპიონატი

**A ჯგუფი. II ტური**

ავსტრია 1:0 კანადა

ჩილე 3:0 კონგო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩილე | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| ავსტრია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| კონგო | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| კანადა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

**C ჯგუფი. II ტური**

ახალი ზელანდია 0:1 გამბია

მექსიკა 2:1 პორტუგალია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| პორტუგალია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| გამბია | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| ახალი ზელანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

| | # | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | 7 ივლისი | | | | | | |
| 18:00 | 8 | იურგორდენი-მალმიო | 2.10 | 3.20 | 2.80 | 1.26 | 1.20 | 1.49 |
| | | 8 ივლისი | | | | | | |
| 19:00 | 9 | იორებრო-ჰალმსტადი | 2.30 | 3.20 | 2.55 | 1.33 | 1.20 | 1.41 |
| | | 9 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 10 | გაის-ტრელებორგი | 1.80 | 3.20 | 3.40 | 1.15 | 1.17 | 1.64 |
| 21:00 | 11 | გეფლე-ბრომაპოიკარნა | 1.60 | 3.30 | 4.30 | 1.07 | 1.16 | 1.86 |
| 22:00 | 12 | აიკ-ელფსბორგი | 2.50 | 3.10 | 2.40 | 1.38 | 1.22 | 1.35 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | 8 ივლისი | | | | | | |
| 19:30 | 24 | კტპ-ტურკუ | 2.80 | 3.10 | 2.15 | 1.47 | 1.21 | 1.26 |
| 19:30 | 25 | მიუპა-ტამპერე | 2.70 | 3.20 | 2.20 | 1.46 | 1.21 | 1.30 |
| 19:30 | 26 | ვპს-ინტერი | 2.20 | 3.20 | 2.65 | 1.30 | 1.20 | 1.44 |
| | | 9 ივლისი | | | | | | |
| 20:00 | 27 | ჰაკა-ჰიკ | 2.15 | 3.10 | 2.80 | 1.26 | 1.21 | 1.47 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | 7 ივლისი | | | | | | |
| 22:30 | 39 | ლონგფორდი-შემროკი | 3.45 | 3.10 | 1.85 | 1.63 | 1.20 | 1.15 |
| | | 9 ივლისი | | | | | | |
| 23:00 | 34 | ბოჰემიანი-ბრეი | 1.45 | 3.40 | 5.50 | 1.01 | 1.14 | 2.10 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | 7 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 63 | ბოტაფოგო-ატლეტიკო პრ | 1.60 | 3.40 | 4.30 | 1.08 | 1.16 | 1.89 |
| 23:00 | 64 | ატლეტიკო მნ-გრემიო | 1.95 | 3.10 | 3.10 | 1.19 | 1.19 | 1.54 |
| 23:00 | 65 | კორინთიანსი-ფლუმინენსე | 1.70 | 3.20 | 3.80 | 1.11 | 1.17 | 1.73 |
| 23:00 | 66 | სან პაულუ-ფლამენგო | 1.50 | 3.50 | 5.30 | 1.04 | 1.16 | 2.10 |
| 23:00 | 67 | სანტოსი-კრუზეირო | 1.85 | 3.10 | 3.35 | 1.15 | 1.19 | 1.61 |
| 23:45 | 68 | გოიასი-სპორტ რესიფი | 1.32 | 3.80 | 7.30 | 1.00 | 1.11 | 2.49 |
| 23:45 | 69 | ინტერნასიონალი-ფიგეირენსე | 1.65 | 3.20 | 4.30 | 1.08 | 1.19 | 1.83 |
| 23:45 | 70 | ჟუვენტუდი-ვასკუ და გამა | 2.10 | 3.10 | 2.85 | 1.25 | 1.20 | 1.48 |
| 23:45 | 71 | ნაუტიკო-პალმეირასი | 2.50 | 3.10 | 2.40 | 1.38 | 1.22 | 1.35 |
| | | **მზის თასი 2007** | | | | | | |
| | | 7 ივლისი | | | | | | |
| 16:35 | 73 | ტაილანდი-ერაყი (ტაილანდი) | 2.85 | 3.10 | 2.15 | 1.48 | 1.22 | 1.26 |
| | | 8 ივლისი | | | | | | |
| 14:20 | 74 | ავსტრალია-ომანი (ტაილანდი) | 1.23 | 4.30 | 9.00 | 1.00 | 1.08 | 2.90 |
| 16:35 | 75 | ვიეტნამი-საამიროები(ვიეტნამი) | 3.85 | 3.10 | 1.75 | 1.71 | 1.20 | 1.11 |
| | | 9 ივლისი | | | | | | |
| 14:20 | 76 | იაპონია-კატარი (ვიეტნამი) | 1.40 | 3.50 | 6.30 | 1.00 | 1.14 | 2.25 |
| | | **მსოფლიო ჩემპიონატი (20) კანადა** | | | | | | |
| | | 7 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 99 | იაპონია 20-ნიგერია 20 | 2.55 | 3.00 | 2.45 | 1.37 | 1.24 | 1.34 |
| 23:15 | 100 | შოტლანდია 20-კოსტა რიკა 20 | 2.00 | 3.20 | 3.00 | 1.23 | 1.20 | 1.54 |
| | | **იაპონია. თასი** | | | | | | |
| | | 7 ივლისი | | | | | | |
| 13:00 | 105 | ურავა-გამბა | 2.15 | 3.10 | 2.80 | 1.26 | 1.21 | 1.47 |
| 13:30 | 106 | კოფუ-კავასაკი | 3.00 | 3.10 | 2.05 | 1.52 | 1.21 | 1.23 |
| | | 8 ივლისი | | | | | | |
| 13:00 | 107 | პიროსიმა-კაშიმა | 3.00 | 3.10 | 2.05 | 1.52 | 1.21 | 1.23 |
| 14:00 | 108 | იოკოჰამა ფმ-ტოკიო | 1.80 | 3.20 | 3.60 | 1.15 | 1.20 | 1.69 |
| | | **ინტერტოტოს თასი** | | | | | | |
| | | 7 ივლისი | | | | | | |
| 17:30 | 150 | ტობოლი-სლოვან ლიბერეცი | 4.30 | 3.40 | 1.55 | 1.89 | 1.13 | 1.06 |
| 19:00 | 151 | მარიბორი-პაიდეკი კულა | 1.55 | 3.30 | 4.30 | 1.05 | 1.13 | 1.86 |
| 19:30 | 152 | მაკედონია-ჩერნო მორე | 2.30 | 3.00 | 2.60 | 1.30 | 1.22 | 1.39 |
| 20:00 | 153 | ჩერნომორეც ოდესა-ტირასპოლი | 1.35 | 3.60 | 6.40 | 1.00 | 1.11 | 2.30 |
| 21:00 | 154 | დაჩია-სტ.გალენი | 3.80 | 3.20 | 1.60 | 1.73 | 1.12 | 1.06 |
| 21:00 | 155 | მაკაბი ჰაიფა-ბისტრიცა | 1.50 | 3.40 | 4.80 | 1.04 | 1.14 | 1.99 |
| 21:30 | 156 | გენტი-კლიფტონვილი | 1.12 | 5.30 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 3.46 |
| 21:30 | 157 | რაპიდი ვენა-სლოვანი ბრ | 1.60 | 3.30 | 4.30 | 1.07 | 1.16 | 1.86 |
| 21:30 | 158 | ზალცბურგი-რუბინი | 3.30 | 3.10 | 1.85 | 1.59 | 1.18 | 1.15 |
| 22:15 | 159 | სლავია სარაევო-ოცელული | 2.85 | 3.10 | 2.00 | 1.48 | 1.17 | 1.21 |
| 22:15 | 160 | კორკი-ჰამარბი | 2.50 | 3.00 | 2.35 | 1.36 | 1.21 | 1.31 |
| | | 8 ივლისი | | | | | | |
| 19:30 | 161 | ჰონკა-ოლბორგი | 2.80 | 3.10 | 2.10 | 1.47 | 1.20 | 1.25 |
| 20:00 | 162 | ტრაბზონი-ვლაზნია | 1.12 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 3.33 |
| 20:00 | 163 | ვენტრა-ლეგია | 5.80 | 3.20 | 1.45 | 2.06 | 1.15 | 1.00 |
| | | **ამერიკის თასი 2007 (ვენესუელა)** | | | | | | |
| | | 7 ივლისი | | | | | | |
| 23:55 | 200 | ურუგვაი-ვენესუელა | 2.50 | 3.00 | 2.50 | 1.36 | 1.25 | 1.36 |
| 23:55 | 201 | ბრაზილია-ჩილე | 1.20 | 4.50 | 8.50 | 1.00 | 1.05 | 2.94 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10008 | იურგორდენი-მალმიო | 2.50 | 2.10 | 3.20 | 1.14 | 1.40 | 1.26 |
| 10009 | იორებრო-ჰალმსტადი | 2.65 | 2.10 | 2.85 | 1.17 | 1.37 | 1.20 |
| 10010 | გაის-ტრელებორგი | 2.25 | 2.10 | 3,75 | 1.08 | 1.40 | 1.34 |
| 10011 | გეფლე-ბრომაპოიკარნა | 2.05 | 2.10 | 4.65 | 1.03 | 1.42 | 1.44 |
| 10012 | აიკ-ელფსბორგი | 2.85 | 2.00 | 2.75 | 1.17 | 1.39 | 1.15 |
| 10024 | კტპ-ტურკუ | 3.20 | 2.00 | 2.45 | 1.23 | 1.38 | 1.10 |
| 10025 | მიუპა-ტამპერე | 3.15 | 2.10 | 2.60 | 1.25 | 1.42 | 1.16 |
| 10026 | ვპს-ინტერი | 2.55 | 2.00 | 3.05 | 1.12 | 1.38 | 1.20 |
| 10027 | ჰაკა-ჰიკ | 2.55 | 2.10 | 3.25 | 1.15 | 1.42 | 1.27 |
| 10200 | ურუგვაი-ვენესუელა | 2.90 | 2.00 | 2.90 | 1.18 | 1.45 | 1.18 |
| 10201 | ბრაზილია-ჩილე | 1.45 | 2.80 | 7.50 | 1.00 | 1.21 | 2.03 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11008 | იურგორდენი-მალმიო | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11009 | იორებრო-ჰალმსტადი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11010 | გაის-ტრელებორგი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11011 | გეფლე-ბრომაპოიკარნა | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11012 | აიკ-ელფსბორგი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11024 | კტპ-ტურკუ | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11025 | მიუპა-ტამპერე | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11026 | ვპს-ინტერი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11027 | ჰაკა-ჰიკ | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11200 | ურუგვაი-ვენესუელა | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11201 | ბრაზილია-ჩილე | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12008 | იურგორდენი-მალმიო | 1.80 | 1.60 |
| 12009 | იორებრო-ჰალმსტადი | 1.60 | 1.80 |
| 12010 | გაის-ტრელებორგი | 1.60 | 1.80 |
| 12011 | გეფლე-ბრომაპოიკარნა | 1.80 | 1.60 |
| 12012 | აიკ-ელფსბორგი | 1.60 | 1.80 |
| 12024 | კტპ-ტურკუ | 1.60 | 1.80 |
| 12025 | მიუპა-ტამპერე | 1.60 | 1.80 |
| 12026 | ვპს-ინტერი | 1.60 | 1.80 |
| 12027 | ჰაკა-ჰიკ | 1.60 | 1.80 |
| 12200 | ურუგვაი-ვენესუელა | 1.55 | 1.85 |
| 12201 | ბრაზილია-ჩილე | 1.80 | 1.60 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 14008 | იურგორდენი-მალმიო | 1.75 | 2.10 |
| 14009 | იორებრო-ჰალმსტადი | 1.80 | 2.00 |
| 14010 | გაის-ტრელებორგი | 1.65 | 2.30 |
| 14011 | გეფლე-ბრომაპოიკარნა | 1.30 | 2.50 |
| 14012 | აიკ-ელფსბორგი | 1.95 | 1.85 |
| 14024 | კტპ-ტურკუ | 2.10 | 1.75 |
| 14025 | მიუპა-ტამპერე | 2.00 | 1.80 |
| 14026 | ვპს-ინტერი | 1.80 | 2.00 |
| 14027 | ჰაკა-ჰიკ | 1.75 | 2.10 |
| 14200 | ურუგვაი-ვენესუელა | 1.85 | 1.95 |

### გოლი:წყვილი-კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17008 | იურგორდენი-მალმიო | 1.85 | 1.95 |
| 17009 | იორებრო-ჰალმსტადი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | გაის-ტრელებორგი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | გეფლე-ბრომაპოიკარნა | 1.85 | 1.95 |
| 17012 | აიკ-ელფსბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17024 | კტპ-ტურკუ | 1.85 | 1.95 |
| 17025 | მიუპა-ტამპერე | 1.85 | 1.95 |
| 17026 | ვპს-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17027 | ჰაკა-ჰიკ | 1.85 | 1.95 |
| 17200 | ურუგვაი-ვენესუელა | 1.85 | 1.95 |
| 17201 | ბრაზილია-ჩილე | 1.85 | 1.95 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15008 | იურგორდენი-მალმიო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | იორებრო-ჰალმსტადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | გაის-ტრელებორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | გეფლე-ბრომაპოიკარნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15012 | აიკ-ელფსბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15024 | კტპ-ტურკუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15025 | მიუპა-ტამპერე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15026 | ვპს-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15027 | ჰაკა-ჰიკ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15200 | ურუგვაი-ვენესუელა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16008 | იურგორდენი-მალმიო | 1.50 | 2.30 |
| 16009 | იორებრო-ჰალმსტადი | 1.62 | 2.05 |
| 16010 | გაის-ტრელებორგი | 1.30 | 3.00 |
| 16011 | გეფლე-ბრომაპოიკარნა | 1.22 | 3.40 |
| 16012 | აიკ-ელფსბორგი | 1.80 | 1.85 |
| 16024 | კტპ-ტურკუ | 1.95 | 1.65 |
| 16025 | მიუპა-ტამპერე | 1.80 | 1.80 |
| 16026 | ვპს-ინტერი | 1.55 | 2.20 |
| 16027 | ჰაკა-ჰიკ | 1.52 | 2.20 |
| 16200 | ურუგვაი-ვენესუელა | 1.80 | 1.85 |
| 16201 | ბრაზილია-ჩილე | 1.02 | 6.70 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

## ოცწლამდელთა ევროპის ჩემპიონატი
## სლოვენია-იტალია. 6-15 ივლისი

# საქართველო გუნდია!

## დავით უსტიაშვილის ბიჭებმა 30-ქულიანი ნაბიჯი გადადგეს

**საქართველო 102:72 ლატვია**
**30:21 26:16 27:17 19:18**

საქართველო: გაფრინდაშვილი (13), ჭოჭუა (14), ბერიშვილი (6), დიდია (14), გერმადინი (17); ფარლალავა (19), მათიაშვილი (5), გულისაბედაშვილი (7), წივწივაძე (5), ლაფანაშვილი (2), ჯგერენაია, ცაცავა
ლატვია: მელკინსი (13), ზაკისი (19), როზიტსი (3), შროპოვისი (9), კანბერგსი (3), ტროჰსი (2), კოლმინსი (8), ბრენკანსი (3), ფრეიმანსი (7), ეგლიტისი, კუკსიკსი (4), სელაკოვსი (1)



მიხეილ ჭოჭუამ გუნდს 14 ქულა შესძინა

**სასიამოვნოდ** გაგვაკვირვეს ჩვენმა ახალგაზრდებმა: ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის პირველივე მატჩში ლატვიის ნაკრები გაანადგურეს და ჯგუფიდან გასვლა, რაც თავისთავად ნიშნავს A დივიზიონში დარჩენას, ფაქტობრივად გაინაღდეს.

ევროპის ჩემპიონატზე სანამ გაემგზავრებოდნენ, დავით უსტიაშვილის შეგირდებმა ამჟამად B დივიზიონში მყოფ უკრაინასთან 3 თამაში უიმედოდ წააგეს. წესით და რიგით, ქართველთა მომავალი მეტოქეები უფრო ძლიერები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ უსტიაშვილის ბიჭებმა მცირე სასწაული ჩაიდინეს და ლატვიელებს, რომ იტყვიან, ოფლის მოუდენლად მოუგეს.

საქართველო თავიდანვე რომ დაწინაურდა (6:0), მერე მეტოქე სათოფეზე აღარ გაიკარა. ჩვენები მედგრად იდგნენ დაცვაში და შეტევაშიც საქმე ხუთიანზე ჰქონდათ. უსტიაშვილის შეგირდებმა 26 ცდიდან 15 სამქულიანი ჩააგდეს (58%), რაც ყველაზე ჩუბინი გუნდებისთვისაც კი საშური შედეგია.

პირველი მეოთხედის შემდეგ ქართველები 30:21 იგებდნენ, ტაიმის ბოლოს კი 19 ქულით გალიდერდნენ. ვინც კი მოედანზე იყო, ყველა თავგამოდებითა და რაც მთავარია, სიზუსტით გამოირჩეოდა. რევაზ დიდია, ლაშა ფარლალავა, გიორგი გაფრინდაშვილი, მიხეილ ჭოჭუა, გიორგი შერმადინი... ესენი საბოლოოდ ყველანი ასცდნენ 10-ქულიან ზღვარს, თუმც არანაკლებ სარგებლიანი იყვნენ დანარჩენებიც.

მეორე ტაიმი დაიწყო თუ არა, ქართველების ლიდერობამ ოც ქულას გადააბიჯა და გადამწყვეტი მეოთხედის დაწყებამდე ოცდაათსაც მიუკაკუნა — 83:54. ჩვენებმა მოიგეს იმით, რისი დახვეწაც მთავარი საზრუნავი იყო დავით უსტიაშვილისთვის — გუნდური თამაშით.

---

**ნამატჩევს ჩვენიანთა თავკაცი ალბათ ყველაზე ბედნიერი იყო. მწვრთნელი რომ იტყვის, რაც კი ჩაფიქრებული გვქონდა, ყველაფერი შევასრულეთო, ამაზე დიდი სიხარული რა უნდა იყოს...**

**— წინა დღეს ლატვიელთა ვარჯიშს დავესწარი და დავრწმუნდი, რომ ეს გუნდი ძალიან ძლიერი იყო — გვითხრა დავით უსტიაშვილმა, გუშინ რომ შევეხმიანეთ — ბალტიისპირელებმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე და რას ვიფიქრებდი, ასე იოლად თუ ვაჯობებდით.**



**— ყველაზე მეტად რა იყო თქვენთვის მოულოდნელი?**

— ჩვენი კარგი თამაში მოულოდნელი იმდენად არ ყოფილა, რამდენადაც ლატვიელთა ასეთი უსუსურობა. ძალიან იოლად მოვიგეთ, მეტოქეს ყველაფერში ვაჯობეთ და ჯგუფიდან გასასვლელად დიდი ნაბიჯი გადავდგით.

**— გამორჩეულად კარგად ისროლეთ სამქულიანები და ეს წინასწარ გქონდათ დამუშავებული?**

— შორიდან სროლაში რა თქმა უნდა ვემზადებოდით, მაგრამ ეს არ ყოფილა ჩვენი მთავარი იარაღი. აქცენტს დაცვაზე ვაკეთებდით და დანარჩენს თამაშის მსვლელობა გვიჩვენებდა. ჩვენდა გასახარად, დაცვაშიც ვიყოჩაღეთ და შეტევაშიც თავისთავად აგვეწყო თამაში. სამქულიანების სროლის შანსი რომ მოგვეცემოდა, ვესროდით და მიზანიც არ გვღალატობდა.

**— მაინც რის ხარჯზე მოიგეთ ეს თამაში?**

— ძნელია რამის გამორჩევა ყველაფერი ხუთიანზე შევასრულეთ, რაც ჩაფიქრებული გვქონდა. მთავარი მაინც გუნდურობა იყო.

**— ვის გამოარჩევდით?**

— ყველამ მაგრად ითამაშა. დიდ მადლობას ვუხდი ბიჭებს, ასე კარგად რომ შეასრულეს ჩემი დავალება. ამ გუნდში გამორჩეული ლიდერები არ არიან, როგორც ეს წინა თაობის ნაკრებში იყო.

**— ამ გამარჯვებით ფაქტობრივად გაინაღდეთ ჯგუფიდან გასვლა...**

— 30 ქულით გამარჯვება იმის საკმაო იმედს იძლევა, რომ თუ რამდენიმე გუნდმა თანაბარი ქულები დავაგროვეთ, ბურთების უკეთესი შეფარდებით ჯგუფიდან გავალთ. ისე, თუკი ასე ვითამაშებთ, გაცილებით მეტს მივაღწევთ.

**ირაკლი ბერტაია**



ნიკოლოზ ცქიტიშვილს ნბა-ში თამაშის იმედი ჯერ არ დაუკარგავს

# ქართველები კაზინოში

## სანიკიძის ცდა პირველი და ცქიტიშვილის მეორე წრე

დღეს იწყება ლას ვეგასის საზაფხულო ლიგა, რომელშიც ორი ქართველი ითამაშებს — ვიქტორ სანიკიძე „სან ანტონიოს" ღირსებას დაიცავს, ნიკოლოზ ცქიტიშვილი კი — „დენვერისას".

სანიკიძე ნბა-ს მოქმედმა ჩემპიონმა 2004 წლის დრაფტზე 42-ე ნომრად აირჩია, თუმც გუნდში არ აუყვანია და მას მერე ახალგაზრდა ქართველი ევროპის წამყვან ლიგებში თამაშობს. „ვიკა" რამდენჯერმე იმყოფებოდა სან ანტონიოში, გუნდთან ერთად ვარჯიშობდა კიდეც, მაგრამ „დეზები" არ ჩქარობდნენ ნედლი ახალგაზრდისთვის კონტრაქტის გაფორმებას.

ცქიტიშვილის საქმე კი პირიქითაა. ის 2002 წელს დრაფტზე მეხუთე ნომრად აიყვანა „დენვერმა", მყისვე კონტრაქტიც გაუფორმა, მაგრამ ქართველმა ფეხი ვერ გამოიჩინა და ნბა-ს კლუბებში ოთხწლიანი მიდი-მოდის შემდეგ იძულებული გახდა, ევროპას დაბრუნებოდა. მან გასული სეზონის პირველი ნახევარი უქმად, მეორე კი ესპანურ „სან ფერნანდოში" გაატარა და ახლა კვლავ „დენვერშია" — ოღონდ თავისუფალი აგენტის სტატუსით. როგორც ჩანს, ცქიტიშვილს ისევ ნბა-ში თამაში ამოუჭრია გულში და ლას ვეგასის უხვგუნდიან ლიგაში ეცდება „დენვერის" თუ არა, სხვა გუნდების მწვრთნელებისთვის თავის მოწონებას.

სანიკიძეს კი გუნდის პრობლემა არ აქვს — მას ესპანურ „ესტუდიანტესთან" კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, თუმც სანანტონიოელებმა რომ მოინდომონ, ქართველ ფორვარდს უპრობლემოდ გადაიყვანენ თავისთან. საქმე მხოლოდ ისაა, როგორ წარმოაჩენს საკუთარ თავს 21 წლის ქართველი ფორვარდი.

კაზინოების ქალაქში ლიგა 15 ივლისამდე გასტანს და მანამდე ქართველებს არაერთი გამოცდა ელით. „დენვერი" და „სან ანტონიო" ერთმანეთს არ ხვდებიან. საზაფხულო ლიგის პრინციპი ხომ საუკეთესო გუნდის გამოვლენა კი არა, საუკეთესო მოთამაშეების გამორჩევაა.

„დენვერი" პირველ თამაშს კვირას გამართავს „კლიპერსთან". მისი მომდევნო მეტოქეები იქნებიან: „დალასი", „დეტროიტი", „ლეიკერსი" და „ნიუ იორკი". „სან ანტონიოს" კალენდარი კი ასეთია: „გოლდენ სტეიტი", „ბოსტონი", „კლივლენდი" და „ფილადელფია".

ლიგაში ძირითადად ახალგაზრდა, უკონტრაქტო მოთამაშეები იბურთავებენ, აგრეთვე ახალბედებიც, რომელთან გამოცდილების დაგროვება მართებთ.

სანიკიძე და ცქიტიშვილი 15 ივლისს გათავისუფლდებიან და სავარაუდოდ, 18-ში საქართველოს ეროვნული ნაკრების შეკრებაზე გამოცხადდებიან.

**ირაკლი ბერტაია**

RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

## საფრანგეთისკენ



# ახალი ჰუკერი უახლესი ისტორიიდან

## დავით დადუნაშვილმა თავისი ლელო უკვე დადო

„მსოფლიოს თასის შემდეგ ნაკრებში თამაშს თავს არ დავანებებ, უბრალოდ, მხოლოდ პრინციპულ მატჩებში ვითამაშებ" — ეს საქართველოს ნაკრების მორკინალმა აქვსენტი გიორგაძემ ორი თვის წინ გვითხრა, სარუბრიკოდ რომ შევეხმიანეთ. მაშინ გიორგაძემ ნაკრებში თავის მემკვიდრედ ფრანგული „მასის" 25 წლის მორკინალი დავით დადუნაშვილი დაასახელა. დავაკონკრეტოთ, რომ აქვსენტი გიორგაძის არყოფნაში, ჩვენების შერკინებას ჰუკერის (2 ნომერი) პოზიციაზე ყველაზე მეტად უჭირდა.

დავით დადუნაშვილი „ლელოებში" 2003 წლის მსოფლიოს თასზე გამოჩნდა და 21 წლისა ქართული რაგბის ისტორიაში შევიდა. დადუნაშვილმა მსოფლიოს თასზე ჩვენების პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ლელო გაიტანა ვარსკვლავურ სამხრეთ აფრიკასთან.

წინა მსოფლიოს თასის შემდეგ დადუნაშვილი აქა-იქით თუ გამოჩნდება ნაკრებში, წლეულს კი სტაბილურად ათამაშდა და „ლელოების" ერთ-ერთი საკვანძო მოთამაშე გახდა. ფრანგული „მასის" მორკინალის სარუბრიკოდ ვისაუბრეთ და საკლუბო ამბებზეც ვკითხეთ

**— რუმინეთში გამართული მსოფლიოს ერთა თასით დავიწყოთ. ტურნირზე მეორე შემადგენლობით ჩახვედით, მაგრამ სამიდან ორი მატჩი მოიგეთ. თანაც ნამიბია დაამარცხეთ, რომელიც მსოფლიოს თასზე თქვენი მთავარი მეტოქეა...**

— ეს ტურნირი მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მსოფლიოს თასისთვის მზადების პირველი ეტაპი ამ შეჯიბრით დავიწყეთ და ძალიან წაგვადგა. მართალია, მეორე გუნდით ჩავედით, მაგრამ ეროვნული ნაკრები გვერქვა. გამოცდილი იყო თუ გამოუცდელი, ახალბედა თუ ვეტერანი, ყველამ სული და გული ჩადო თითოეულ მატჩში. ნამიბიას უმნიშვნელოვანესი მატჩი მოვუგეთ და მსოფლიოს თასის წინ ფსიქოლოგიური უპირატესობა მოვიპოვეთ.

**— მარტო ფსიქოლოგიური?**

— ძალიან ძნელია სამი თვით ადრე თქვა, რა იქნება მსოფლიოს თასზე. როგორც ჩვენთვის, ნამიბიასთვისაც საქართველო მთავარი მეტოქეა და ისინიც თავს მოიკლავენ რომ რევანში მსოფლიო თასზე აიღონ. ვფიქრობ, იქამდე ნამიბიაც მოუმატებს, ჩვენც და მართლა მაგარი ჯახი იქნება. სიტყვებით ვერ გადმოგცემთ, აქედანვე როგორ ვიმუხტები ამ მატჩისთვის.

**— რუმინეთში სამხრეთ აფრიკის და იტალიის „ა" ნაკრებებსაც ეთამაშეთ. ორივე სარაგბო გრანდებს განეკუთვნება. როგორ ფიქრობ, ძალიან გვასწრებენ?**

— სამხრეთ აფრიკა თუნდაც მეორე გუნდის კვალობაზე მართლაც წინ არის, მეტიც, სულ სხვა დონეა. იტალიის „ა" ნაკრებს კი ულაპარაკოთ მოვუგეთ და, ჩემი აზრით, არც ისეთი განსხვავებაა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

**— ერთ-ერთ ინტერვიუში აქვსენტი გიორგაძემ გვითხრა, რომ თავის შემცვლელად შენ მიგიჩნევს...**

— რა ვთქვა, არ ვიცი... მისი ნათქვამი ორმაგ პასუხისმგებლობას მაკისრებს. აქვსენტი გიორგაძე ქართულ რაგბიშიც და საფრანგეთის ჩემპიონატშიც გამორჩეული ფიგურაა. მისი ნდობა ძალიან მეამაყება და თუ მწვრთნელებიც მენდობიან, თავს არ შევირცხვენ. პირიქით, ყველაფერს გავაკეთებ, რომ მათ იმედი არ გავუცრუო.

**— თან ქართული რაგბის ისტორიაში უკვე შეხვედი. წინა მსოფლიოს თასზე ჩვენების პირველი და ერთადერთი ლელო გაიტანე...**

— სიმართლე გითხრა, ამას განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ვანიჭებს. ცხადია, ძალიან მსიამოვნებს რომ ისტორიული ლელო მე გავიტანე, მაგრამ ეს მთელი გუნდის დამსახურებაა.

**— იმისათვის რომ ნაკრებში ადგილი დაიმკვიდრო, კლუბში სტაბილური თამაშიც გჭირდება...**

— ამის პრობლემა არ მაქვს. გასულ სეზონში თითქმის ყველა მატჩი ვითამაშე. ახლა კი ორი წლით გავახანგრძლივე კონტრაქტი.

**— „მასი" საფრანგეთის ჩემპიონატის რანგით მესამე დივიზიონში თამაშობს. კლუბის უფროსობას მეტი ამბიცია არა აქვს?**

— ჩვენ წლეულსაც ვაპირებდით მეორე ელიტაში ასვლას, მაგრამ პლეი ოფში დავმარცხდით. მომავალი სეზონისთვის კლუბი კიდევ უფრო გაძლიერდება. ჩემი, ვიქტორ დიდებულიძისა და გიორგი ჩხაიძის ჩათვლით შვიდი ლეგიონერი ვართ, მაგრამ გუნდის დაკომპლექტება ჯერ არ დასრულებულა და ახალი სეზონისთვის ორ-სამ გამოცდილ მორაგბეს კიდევ დავიმატებთ. „მასის" მიზანია, მომავალ სეზონშივე მოვიპოვოთ მეორე ელიტის საგზური.

**ბაჩო სვანიძე**

## სამი ერი 2007

7 ივლისი. სიდნეი

**ავსტრალია — სამხრეთ აფრიკა**

ავსტრალია: ჰუქსლი, ჯერარდი, პოტლოკი (კაპ), [illegible] ეშლი-კუპერი, ლარქემი, გრეგანი, პოილისი, სმიტი, ელსომი, ვიკერმანი, შარპი, [illegible], დუნინგი.

სათადარიგოები: ჰარდმანი, ბაქსტერი, მაკმენიმანი, დაიონზი, ვუ, სტეინფორტი, მიჩელი.

მწვრთნელი: ჯერ კაიტი

სამხრეთ აფრიკა: გორჩუნი, პელუ, მურეი, ოლივიერი, პიტერსენი, ჰუგარდი, პინარი, სკინსტადი (კაპ), ვანენბურგი, ფან ჰირდენი, მილელი, ეკერმანი, დუ პლესი, გ. ბოთა, ფან დერ ლინდე

სათადარიგოები: ბისმარკ დუ პლესი, ენდრიუსი, ფან დენ ბერგი, კრონზე, კლაასენსი, გრანტი, პრეტორიუსი

მწვრთნელი: ჯონ კონოლი

# ავსტრალია ოქროს დუეტს ემშვიდობება

**დღეს** სიდნეიში „ტელსტრას" სტადიონზე დიდი ჯახია. სამი ერის მეოთხე ტურში ავსტრალია სამხრეთ აფრიკას მასპინძლობს. საკუთარ კედლებში მშობლიური გულშემატკივრების თვალწინ უკანასკნელად მოირგებენ ოქროსფერ მაისურას ჯორჯ გრეგანი და სტივენ ლარქემი. ამ გენიალურ ტანდემს ერთად ნაკრებში ორასზე მეტი ტესტი უთამაშია და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო რაგბისთვის ისინი ცოცხალი ლეგენდები არიან. სიტყვა ლეგენდა თითქოს ყოველთვის წარსულს მოგვაგონებს და გაკეთებულ საქმეებზე თუ გმირობებზე გვაფიქრებინებს, მაგრამ ამ შემთხვევაში, ეს მითიური სპორტსმენები ისევ საუკეთესო ფორმაში მყოფი მსოფლიო დონის ვარსკვლავები არიან და ძნელად, თუ ავსტრალიის ნაკრები მათ გარეშე ვინმეს წარმოუდგენია.

რაც შეეხება უშუალოდ თამაშს და წინასწარ გაცემულ ავანსებს, „ვოლაბებს" ჯერაც არ განელებიათ გასულ შაბათს ახალი ზელანდიის ძლევით გამოწვეული სიხარული და მათ მშვენიერ გუნდზე რომ არაფერი ვთქვათ, იქნებ მარტო გამოყოლილმა ეიფორიამ და საკუთარი გულშემატკივრებით გადაჭედილმა სტადიონმაც კი გაამარჯვებინოთ.

ავსტრალიელთა დამრიგებელი ჯეკ ვაიტი ლოთე ტუკირს მოისაკლისებს: „ვფიქრობ, ჩვენი გუნდისთვის იგი აუნაზღაურებელი დანაკლისია, მას უდიდესი გავლენის მოხდენა შეუძლია თამაშზე. მართალია, მარკ ჯერარდი ნიჭიერი მორაგბეა, მაგრამ არ მგონია, ტუკირი მან სრულფასოვნად შეცვალოს. ნიჭიერება კარგია, მაგრამ გამოცდილებას ვერაფრით ჩაანაცვლებ".

ლოთემ კი გასულ შაბათ სალამოს ახალ ზელანდიასთან გმირული გამარჯვება აღნიშნა. გვარიანად ილოთა და მეორე დღეს სასწავლო სემინარიც გააცდინა, რის გამოც ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით და 2 000 ავსტრალიური დოლარით დაისაჯა.

სამხრეთ აფრიკა იმედიანადაა, მით უმეტეს, რომ წლევანდელი სამი ერის პირველივე ჯახში დაამარცხა „ვოლაბები", თვითონ გუნდი კი კლასისა და გამოცდილების ეტალონად შეიძლება ჩაითვალოს. შერკინებაში საქმეს ხუთიანზე ასრულებენ ბოთა, ფან დერ ლინდე და დუ პლესი, ხოლო პეტერსენი ადამ ეშლი-კუპერის და ჯერარდის დაჩრდილვას შეეცდება თავისი ოსტატობით.

საბოლოო ჯამში ორივე გუნდს გამარჯვებისთვის თანაბარი შანსები აქვს. „ქურციკებისთვის" გუნდურობაა მთავარი კოზირი, „ვოლაბებს" კი გრეგან-ლარქემის დუეტის და საკუთარი მოედნის ფაქტორის ეიმედებათ. ვისი აჯობებს, ამას დღევანდელი დღე გვიჩვენებს.

**ზურაბ მიგრიაული**





სტივენ ლარქემი და ჯორჯ გრეგანი

# ოქრო, ვერცხლი და ბევრი ბრინჯაო

*ტრაპიზონულ შავი ზღვის ქვეყნების თამაშებზე გუშინდელი დღეც გადატვირთული იყო, სპორტის ათივე სახეობის წარმომადგენლებს მოცლა არ ჰქონდათ. ქართველები კი ცხრაში გამოვიდნენ, რადგან ფეხბურთელთა ნაკრები ტურნირს გუშინწინ დაემშვიდობა. მედლების საერთო მარაგს კიდევ ცხრა მიემატა. აქედან შვიდი ბრინჯაოა, თითოც — ოქრო-ვერცხლი*


ზურაბ იაკობაშვილი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე

## ჭიდაობა

ხალიჩაზე თავისუფალი სტილის ხუთი წონითი კატეგორიის მოჭიდავეები გავიდნენ და სამმა ქართველმა კვარცხლბეკს უწია. ყველაზე შედეგიანად ზურაბ იაკობაშვილმა (42კგ) იჭიდავა — მოლდოველ ფილიპ მარინს, თურქ სერიფ ასლანს და აზერბაიჯანელ ემინ ჰუსეინოვს მოუგო და ჩემპიონი გახდა. 46 კილოგრამში ავთანდილ ჯიოევმა მეოთხედფინალში მოლდოველ სტეფან დობრისთან წააგო და რადგან მერე ვერც ამან შეძლო ფინალში გასვლა, ჩვენებურს ბრინჯაოს შანსი აღარ მისცემია. სამაგიეროდ, თორნიკე ლურსმანაშვილის (54კგ) მძლეველმა რუსმა ელბრუს დარჩიევმა იჭიდავა ყოჩაღად და ქართველს რეპეშაჟის ფინალი გაუნაღდა, მაგრამ იქ თორნიკეს სომეხმა სასუნ ბეგლარიანმა აჯობა.

ბეგლარიანის ჯავრი დავით გალეგაშვილმა (63კგ) ედუარდ დავთიანზე იყარა. ესეც ბრინჯაოს შეხვედრა იყო. უფრო ადრე კი გალეგაშვილმა ჯერ ბერძენი ზაზა მოვსესიდისი დაამარცხა, ნახევარფინალში კი რუს აკრამან გუსიგოვთან წააგო.

ოთარ უროტაძე (76კგ) მეოთხედფინალში თურქ იბრაჰიმ ბოლუკბასს ვერ გასცდა, თუმცა რადგან მასპინძელმა ფინალს უწია, ბრინჯაოსთვის ბრძოლაზე გადაერთო და აზერბაიჯანელი ტურკაი მამადოვის ძლევით საწადელსაც მიაღწია.

## ფრენბურთი

ფრენბურთელმა გოგონებმა მეხუთე ადგილზე ფიქრი ალბანეთთან განცდილი მარცხით დაასრულეს. ამ შეხვედრის ბედი მეხუთე პარტიაში გადაწყდა, რომელიც ალბანელებმა 15:12 მოიგეს. ჩვენებურები კი მეშვიდე ადგილისთვის რუმინელების პირისპირ დადგებიან.

## მხატვრული ტანვარჯიში

გუშინ მრავალჭიდი დასრულდა. ქეთი ხატიაშვილმა წინა დღეზე უკეთესი შედეგი აჩვენა და 65,625 ქულით მეოთხედან მესამე ადგილზე აინაცვლა. პირველ-მეორეზე კი რუსი ტანმოვარჯიშეები გავიდნენ. დღეს მედლები ცალკეულ სახეობებში განაწილდება და ხატიაშვილის გარდა კიდევ ოთხი ქართველი მიიღებს მონაწილეობას. თეონა ხელაიაც უფროსებში გამოვა, ხოლო ნინო ქურდაძე, ნათია ნაკაიძე და ქეთევან ასიტაშვილი — პატარებში.

## კალათბურთი

ჩვენი ჭაბუკები ჯგუფურ ეტაპზე დამარცხებულ აზერბაიჯანს ერთხელაც შეხვდებიან. ამჯერად მოგებული შავი ზღვის თამაშებში მეშვიდე ადგილს დაიკავებს. ქართველებს გუშინ რუმინეთისთვის რომ მოეგოთ, მეხუთის შანსი ექნებოდათ, მაგრამ დაძაბულ შეხვედრაში 76:81 დამარცხდნენ.

## ტაეკვანდო

ოთხი ჩვენებურიდან სამმა მედალი აიღო. მარიამ გულუაშვილი (44კგ), ვახტანგ ჯაფარიძე (48კგ) და უშანგი წულაია (59კგ) მესამე საპრიზოებზე გავიდნენ. ბიჭებმა კვარცხლბეკი მეოთხედფინალებში მოპოვებული გამარჯვებებით გაინაღდეს, ხოლო მარიამი კენჭისყრამ პირდაპირ ნახევარფინალში ჩასვა და ბრინჯაოს წაგებითაც შესწვდა. გიორგი წერეთელმა (78კგ) კი მეოთხედფინალში განცდილი მარცხით დაასრულა ტურნირი.

## მძლეოსნობა

გუშინწინ გიორგი ბედოშვილის მიერ ბირთვის კვრაში მოპოვებულ ოქროს, ქართველმა მძლეოსნებმა გუშინ თითო ვერცხლი და ბრინჯაო დაამატეს.

მეორე ადგილზე გოგონათა სიმაღლეზე ხტომაში მოკრძალებული შედეგით — 150 სმ ლიკა დვალიშვილი გავიდა და 10 სანტიმეტრით ჩამორჩა გამარჯვებულ თურქ აიჰან ბურკუს. ბრინჯაოს მედალი კი ბიჭების 800 მეტრზე სირბილში ლუდვიგ ზილბერშტეინმა მოიპოვა, რომელმაც სტადიონის ორ წრეს წუთსა და 58,87 წამში შემოურბინა.

მეორე, ენდრიკ ზილბერშტეინი 22,47 წამით მეოთხე იყო 200 მეტრზე სირბილში. მეოთხე ადგილზე გავიდა ირინა ლოზოვაიაც, რომელმაც 400 მეტრზე თარჯრბენში წუთი და 7,22 წამი აჩვენა. გოგონათა 800 მეტრზე მეხუთე იყო გაიანე უსტიანი, ბიჭების 400 მეტრზე თარჯრბენში მე-7 შედეგი აჩვენა ბესიკ ხუსკივაძემ და ასევე მეშვიდე იყო გოგონათა 200 მეტრზე სირბილში სოფო გაფრინდაშვილი.

## ცურვა

მოცურავეებმა გუშინ არაერთ სახეობაში დაინაწილეს მედლები, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველები არა თუ მედლების სიახლოვეს, ფინალურ გაცურვებშიც კი არ ყოფილან ერთი გამონაკლისის გარდა — 15-წლამდელ ბიჭებს შორის ალექსანდრე ჩაჩანაშვილმა მეშვიდე შედეგი აჩვენა.

## ველორბოლა

შავიზღვისპირა გზებზე ველომრბოლთა შეჯიბრი გრძელდება და ოთხი ეტაპის შემდეგ ნოდარ ყვავაძე უკვე მეხუთე ადგილზეა. გუშინ ყვავაძემ მეცხრე შედეგი აჩვენა გამარჯვებულთან ათწამიანი ჩამორჩენით და საერთო ჩათვლაში ორი ადგილით წინ წაიწია.

მე-11 ადგილზეა კოტე ალავერდაშვილი, ვინც გუშინდელ ეტაპზე მეხუთე იყო. გენერალურ კლასიფიკაციაში დანარჩენი ქართველები შემდეგ ადგილებზე არიან: დავით ასკურავა 23-ეა, ამირან სვანიძე — 31-ე ხოლო ვიქტორ ერიოხინი — 33-ე.

**მედლების მონაგარი ოთხი დღის შემდეგ**

| | ო | ვ | ბ | |
|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 54 | 39 | 23 | 116 |
| თურქეთი | 24 | 20 | 23 | 67 |
| უკრაინა | 17 | 17 | 7 | 41 |
| საბერძნეთი | 10 | 17 | 40 | 67 |
| აზერბაიჯანი | 7 | 5 | 7 | 19 |
| საქართველო | 6 | 3 | 12 | 21 |
| რუმინეთი | 4 | 14 | 17 | 35 |
| სომხეთი | - | 2 | 7 | 9 |
| მოლდოვა | - | 1 | 13 | 14 |
| ბულგარეთი | - | 1 | 2 | 3 |
| ალბანეთი | - | 1 | 1 | 2 |

ძიუდო

# პირველი დღის მეორე-მესამე

**მალტის** ქალაქ ვიტორიოსაში გუშინ ჭაბუკ ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი დაიწყო. რვა წონითი კატეგორიიდან ჯერ მხოლოდ სამში გათამაშდა მედლები, მაგრამ ჩვენმა ნაკრებმა შარშანდელი შედეგი უკვე გააუმჯობესა. გურამ მოდებაძის რვეულიდან პირველები ტატამზე მსუბუქწონოსნები გავიდნენ.

50 კილოგრამში ოთარ კაიდარაშვილი პორტუგალიელი ჟოაო კასტროს, ესპანელი ლოკინ საგარზაზუსა და გერმანელი დენი კიელის ძლევის შემდეგ ნახევარფინალში აზერბაიჯანელ ვუგას შირინლისთან დამარცხდა და რეპეშაჟის ფინალში გადაერთო. ბრინჯაოს ბრძოლა კი თურქ ჰამზა აკაის მოუგო.

ზვიად კაპანაძესაც (60კგ) აზერბაიჯანელმა მეტოქემ დასწყვიტა გული. ეს ფინალში მოხდა. სარხან ახმადოვი ზედიზედ მეორედ გახდა ევროპის ჩემპიონი. ზვიადმა გადამწყვეტ შეხვედრამდე გერმანელი მაქს მიუნსტერბერგი, უკრაინელი ოლეგ გლუშჩენკო, ხორვატი დუშკო რატკოვიჩი და ფრანგი ჟან ლამი ჩამოიცილა.

უმედლოდ მხოლოდ ჯონდი მარიდაშვილი (55კგ) დარჩა, რომელსაც მხოლოდ ერთხელ მოუხდა ტატამზე გასვლა.

დღეს ზებედა რეხვიაშვილი (66კგ) და გიორგი მერმანიშვილი (73კგ) იჭიდავებენ, ხვალ კი — დავით მერებაშვილი (81კგ), გიორგი კობერიძე (90კგ) და ვაჟა დაბრუნდაშვილი (+90კგ).

**ოთარ მაღლაკელიძე**

პლაჟის ფრენბურთი



# წაგების უფლების გარეშე

**კანადურ** მონრეალში, პლაჟის ფრენბურთის მორიგი მსოფლიო ტური დაიწყო, რომლის საპრიზო ფონდი 200 ათასი დოლარია.

მონრეალში სრულიად საპლაჟო ელიტაა თავმოყრილი. იქ არიან ჩვენი წყვილები, გეორ-გია და საქართველოც. ერთი ეგაა, რომ ორივე წყვილმა ძირითად ბადეში ერთი წაგების უფლება გუშინვე გაანიავა და დღეიდან წაფორხილების საშუალება აღარ აქვთ.

მაღალი რეიტინგის გამო გეორ-გია და საქა-რთველო პირდაპირ ძირითად ბადეში მოხვდნენ. რენეტომ და ჟორჟიმ (გეორ და გიამ) პირველივე მატჩი სენსაციურად წააგეს დანიელებთან, ლუნდთან და სოდერბერგთან. სანუგეშო წრეში ჩვენებმა კანადელები, დელანი და ვან ჰუიზენი დაამარცხეს, დღეს კი გერმანელებს, რიკერმანს და გურბაცკას ხვდებიან.

რაც შეეხებათ ქალებს, საქამ და რთველომ ძირითადი ბადის სტარტზე მასპინძლები, კუკი და მარტინი დაამარცხეს. მეორე წრეში ბერძნებთან, ავრანიტისთან და კარადასიესთან წააგეს. სანუგეშო წრეში კი ფრანგებს, გიაუს და ჰამზიუს, ეთამაშებიან.

**ბაჩო სვანიძე**

## 94-ე ტურ დე ფრანსი 7-29 ივლისი

# ლონდონი-პარიზი

## ტრაფალგარის მოედნიდან ელისეს მინდვრებამდე

დღეს ლონდონის გულისგულში, ტრაფალგარის მოედანზე დაიწყება და 29 ივლისს პარიზში, ელისეს მინდვრებზე დასრულდება უდიდესი და უპრესტიჟულესი ველომარათონი, რიგით 94-ე „ტურ დე ფრანსი".

შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთელი დაუსრულებელი, ერთწლიანი დოპინგ-სკანდალი, შარშანდელი „ტურის" დაწყების წინ რომ აგორდა და მერე ლენდისის საქმით გაგრძელდა, უკვე უკან დარჩა. თუმც, მთლად ასეც არაა საქმე. იმის გამო, რომ ლენდისი არ იქნება და მისი შარშანდელი გუნდი, შვეიცარიული „ფონაკიც" აღარ არსებობს, წლევანდელ რბოლაში პირველნომრიანი მაისურა არავის ექნება. მრბოლთა ათვლა მე-11 ნომრიდან დაიწყება და ეს მე-11 ნომერი შარშან მეორე ადგილზე გასულ ოსკარ პერეირო სიოს გუნდის, „კაისე დეპარგნის" რომელიმე წევრს შეხვდება — ან თავად სიოს, ანაც გუნდის ლიდე ალეხანდრო ვალვერდეს



ალექსანდრ ვინოკუროვი და ალეხანდრო ვალვერდე

### მარშრუტი

თავის 104-წლიან ისტორიაში „დიდ მარყუჟად" წოდებული რბოლა პირველად აიღებს სტარტს ბრიტანეთის დედაქალაქში. ტრაფალგარის მოედნიდან ბუკინგემის სასახლამდე 8-კილომეტრიანი პროლოგი მოეწყობა. პირველი ეტაპიც ინგლისში ჩატარდება და მერე კი ველოქარავანი კონტინენტზე გადმოინაცვლებს — ცოტას ბელგიაში გაივლის და მერეღა ჩავა სამშობლოში, სადაც საათის ისრის მიმართულების გაუყვება გზას, ანუ ჯერ ალპებს მოინახულებს, მერე პირინეის მთებს და ატლანტის ოკეანის სანაპიროსკენ გასული პარიზისკენ გაემართება.

3550-კილომეტრიანი გზა პროლოგის გარდა ოც ეტაპს მოიცავს. ამ ოცი ეტაპიდან ორი — მე-13 და მე-19 ინდივიდუალურ რბოლებს დაეთმობა და მთლიანობაში, დაყოფილი სტარტით ველოსიპედისტები 117 კილომეტრს გაივლიან.

დანარჩენი 18 ეტაპიდან 11 ბარის არის, ერთი საშუალო მთიანეთში გაივლის და ექვსიც სამთოა — მეშვიდე-მეცხრე ეტაპებზე პელოტონს ალპების მწვერვალები ექნება დასალაშქრი, ხოლო მეთოთხმეტე-მეთექვსმეტე ეტაპებზე — პირინეის უღელტეხილები.

ალპებში, მე-9 ეტაპზეა წლევანდელი „ტურის" უმაღლესი მწვერვალი, ზღვის დონიდან 2770 მეტრზე მდებარე კოლ დიზუარი და იმავე ეტაპზე 2645-მეტრიანი კოლ დე გალიბიერიცაა. მთლიანობაში, პელოტონს 21 უმაღლესი, პირველი და მეორე კატეგორიის მთა აქვს დასალაშქრი.

### გუნდები

21 გუნდიდან ექვსი ფრანგულია (AG2R, აგრიტუბელი, ბუჟ ტელეკომი, კოფიდისი, კრედიტ აგრიკოლი, ფრანსაიზ დე ჟუ), სამ-სამი ესპანური (კაისე, დეპარგნი, სონი დიუვალი, ეუსკალტელი) და იტალიური (ლამპრე, ლიქუიგასი, მილრამი), ორ-ორი გერმანული (გეროლშტაინერი, T-მობაილი) და ბელგიური (ლოტო, ქვიკ სტეპი) და თითოც ყაზახური (ასტანა), დანიური (CSC), ჰოლანდიური (რაბობანკი), ამერიკული (დისქვაერი), და ბრიტანული (ბარლვორლდი).

ყველაზე მძლავრი და დაბალანსებული შემადგენლობები „ასტანას", CSC-ის, „კაისე დეპარგნის", „დისქავერის", რაბობანკსა" და „ლოტოს" ჰყავთ.

იტალიურმა გუნდებმა და „სონი დიუვალიმ", რომელშიც იტალიელები სჭარბობენ, აქცენტი „ჯირო დიტალიაზე" გააკეთებს და საუკეთესო მრბოლებს დასვენების საშუალება მისცეს.

### ფავორიტები

№1 ფავორიტი ალექსანდრ ვინოკუროვია. „ასტანას" ლიდერი 2003 წელს მესამე იყო, ორი წლის შემდეგ — მეხუთე და აცხადებს, რომ ან ახლა, ან არასოდესო. „ვინომ" „დოფინე ლიბერეზე" დაამტკიცა, რომ მართლაც ძალიან ძლიერია და თანაც, თანაშემწეებიც უმაღლესი რანგისა ჰყავს — ანდრეას კლოდენი, პაოლო სავოლდელი, ანდრე კაშეჩკინი — ამათგან ნებისმიერს ძალუძს გენერალურ კლასიფიკაციაში პირველობისთვის ბრძოლა, მაგრამ ამ ჯერზე ვინოკუროვის გრეგორობას უნდა დასჯერდნენ.

ლონდონელი ბუქმეიკერების ვარაუდით „ვინოს" შემდეგ ვალვერდე მოდის. უნიჭიერეს ესპანელს ორი მინუსი აქვს — პირველი ის, რომ ჯერ მხოლოდ 26 წლისაა და „ტურზე" დიდ წარმატებებს სადღაც 27 წლიდან აღწევენ, ხოლმე და მეორე და უმთავრესი — მას ერთხელაც არ გაუვლია თავიდან ბოლომდე „ტურის" გზა. შარშანწინ ერთ-ერთ ალპურ ეტაპზე თვით ლენს არმსტრონგი დაჯაბნა, მაგრამ მერე ტრავმა მიიღო და რბოლა შეწყვიტა, ხოლო შარშან, უკვე მესამე ეტაპზე ზედახორაში მოყვა და დაშავდა. სხვა მხრივ ვალვერდეს ვერაფერს დაუწუნებ — მსოფლიოს ჩემპიონატების სამგზის პრიზიორია, შარშანდელი „ვუელტას" ვიცე-ჩემპიონი, შარშანდელივე „პრო-ტურის" სერიის გამარჯვებული და გუნდშიც სერიოზული პარტნიორები ჰყავს პერეირო სიოსა და ვლადიმირ კარპეცის სახით.

გამოცდილი კარლოს სასტრე და ჯეელი ფრანკ შლეკი — ამ ორიდან რომელზე გააკეთებს აქცენტს დანიური CSC, რბოლის მსვლელობაში გამოჩნდება. ისე კი, ორივეს რეალურად ძალუძს ჩემპიონობისთვის თუ არა, პოდიუმისთვის ბრძოლა მაინც.

შემდეგ „რაბობანკის" რუსი დენის მენშოვი და „დისქავერის" ლიდერები — ამერიკელი ლევი ლეიფემერი და უკრაინელი იაროსლავ პოპოვიჩი უნდა ვახსენოთ და კრისტოფ მოროც — ფრანგებს მშობლიური რბოლა 1985 წლის, ანუ დიადი ბერნარ ინოს მეხუთე ტრიუმფის შემდეგ აღარ მოუგიათ და, თუ მორომ შეინარჩუნა ის ფორმა, რომელშიც სამიოდე კვირის წინ „დოფინე ლიბერეზე" იყო, მაშინ მას მართლა ექნება გამარჯვების შანსი.

და ბოლოს, 104-წლიანი „ტურ დე ფრანსის" რამდენიმე საინტერესო რეკორდი:

**რბოლაში მონაწილეობა:** 16 — იოპ ზოტემელკი (ჰოლანდია), 15 — ლუსიენ ვან იმპი, გაი ნიულენსი (ორივე — ბელგია)

**ტიტული:** 7 — ლენს არმსტრონგი (აშშ); 5 — ჟაკ ანკეტილი (საფრანგეთი), ედი მერქსი (ბელგია), ბერნარ ინო (საფრანგეთი), მიგელ ინდურაინი (ესპანეთი)

**ტიტული ქვეყნების მიხედვით:** 36 — საფრანგეთი, 18 — ბელგია.

**პოდიუმი:** 8 რაიმონ პოლიდორი (საფრანგეთი): სამი მეორე, ხუთი მესამე); 7 — იოპ ზოტემელკი (ბელგია; ერთი პირველი, ექვსი მეორე), ლენს არმსტრონგი (აშშ; შვიდი პირველი), იან ულრიხი (გერმანია; ერთი პირველი, ხუთი მეორე, ერთი მესამე);

**ლიდერის მაისურა დღეების მიხედვით:** 111 — ედი მერქსი (ბელგია); 80 — ლენს არმსტრონგი (აშშ), 79 — ბერნარ ინო (საფრანგეთი), 60 — მიგელ ინდურაინი (ესპანეთი).

**მოგებული ეტაპები:** 34 — ედი მერქსი (ბელგია); 28 — ბერნარ ინო (საფრანგეთი), 25 — ანდრე ლედიუკი (საფრანგეთი).

**ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებული:** 19 წლის — ანრი კორნე (საფრანგეთი, 1904 წელს)

**ყველაზე ასაკოვანი გამარჯვებული:** 36 წლის — ფირმენ ლამბო (ბელგია, 1922 წელს)




### ტურ დე ფრანსის განრიგი

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 ივლისი | პროლოგი | ლონდონი | 8 კმ |
| 8 ივლისი | I ეტაპი | ლონტონი — კენტერბერი | 203 კმ |
| 9 ივლისი | II ეტაპი | დიუნკერი — განდი | 167 კმ |
| 10 ივლისი | III ეტაპი | ვარეგემი — კომპენი | 236 კმ |
| 11 ივლისი | IV ეტაპი | ვილერ კოტერე — ჟუანი | 190 კმ |
| 12 ივლისი | V ეტაპი | შაბლი — ოტიუნი | 184 კმ |
| 13 ივლისი | VI ეტაპი | სემიურ ან ოქსუა — ბურჟ ან ბრესი | 200 კმ |
| 14 ივლისი | VII ეტაპი | ბურჟ ან ბრესი — ლე გრან ბორნარი | 197 კმ |
| 15 ივლისი | VIII ეტაპი | ლე გრან ბორნარი — ტინი | 165 კმ |
| 16 ივლისი | | დასვენების დღე | |
| 17 ივლისი | IX ეტაპი | ვალ დიზერი — ბრიანსონი | 161 კმ |
| 18 ივლისი | X ეტაპი | ტაიარი — მარსელი | 229 კმ |
| 19 ივლისი | XI ეტაპი | მარსელი — მონპელიე | 180 კმ |
| 20 ივლისი | XII ეტაპი | მონპელიე — კასტრი | 179 კმ |
| 21 ივლისი | XIII ეტაპი | ალბი | 54 კმ |
| 22 ივლისი | XIV ეტაპი | მაზამე — პლადო დე ბელი | 197 კმ |
| 23 ივლისი | XV ეტაპი | ფუა — ლუდენვილ ლე ლურონი | 196 კმ |
| 24 ივლისი | | დასვენების დღე | |
| 25 ივლისი | XVI ეტაპი | ორტე — კოლ დობისკი | 218 კმ |
| 26 ივლისი | XVII ეტაპი | პო — კასტელსარაზანი | 188 კმ |
| 27 ივლისი | XVIII ეტაპი | კაორი — ანგულემი | 210 კმ |
| 28 ივლისი | XIX ეტაპი | კონიაკი — ანგულემი | 55 კმ |
| 29 ივლისი | XX ეტაპი | მარკუსი — პარიზი | 130 კმ |

### გუნდები და მათი ლიდერები

AG2R (საფრანგეთი): კრისტოფ მორო, სირილ დესელი (ორივე საფრანგეთი)

არგიტუბელი (საფრანგეთი): ხუან მიგელ მარკადო (ესპანეთი)

ასტანა (ყაზახეთი): ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი), ანდრეას კლოდენი (გერმანია), პაოლო სავოლდელი (იტალია)

ბარლვორლდი (ბრიტანეთი): რობერტ ჰანტერი (სამხრეთ აფრიკა)

ბუჟ ტელეკომი (საფრანგეთი): ტომას ვოკლერი (საფრანგეთი)

კაისე დეპარგნი (ესპანეთი): ალეხანდრო ვალვერდე, ოსკარ პერეირო სიო (ორივე ესპანეთი), ვლადიმირ კარპეცი (რუსეთი)

კოფიდისი (საფრანგეთი): სილვან შავანელი (საფრანგეთი)

კრედიტ აგრიკოლი (საფრანგეთი): ტორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია)

CSC (დანია): კარლოს სასტრე (ესპანეთი), ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი)

დისქავერი (აშშ) : ლევი ლეიფემერი (აშშ), იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა), ალბერტო კონტადორი (ესპანეთი)

ეუსკალტელი (ესპანეთი): აიმარ სუბალდია (ესპანეთი)

ფრანსაიზ დე ჟუ (საფრანგეთი): სანდი კასარი (საფრანგეთი)

გეროლშტაინერი (გერმანია): მარკუს ფოტენი (გერმანია)

ლამპრე (იტალია): მარსიო ბრუსეგინი (იტალია), ტადეი ვალჟავეცი (სლოვენია)

ლიქუიგასი (იტალია) : მანუელ ბელტრანი (ესპანეთი)

მილრამი (იტალია): ერიკ ცაბელი (გერმანია)

ლოტო (ბელგია) : კედელ ევანსი, რობი მაკივენი (ორივე ავსტრალია)

ქვიკ სტეპი (ბელგია): ტომ ბოონენი (ბელგია)

რაბობანკი (ჰოლანდია): დენის მენშოვი (რუსეთი), ოსკარ ფრეირე (ესპანეთი)

სონი დიუვალი (ესპანეთი): დევიდ მილარი (ბრიტანეთი)

T-მობაილი (გერმანია): პატრიკ სინკევიჩი (გერმანია), კიმ კირხენი (ლუქსემბურგი)

## უიმბლდონი 2007. ბალახი საპრიზო 11 282 710 £



ნოვაკ ჯოკოვიჩმა ნახევარფინალს დაოთხილმა უწია

# ვინ გაიმეორებს ბორგს?

6 ივლისი

**კაცები**

**მეოთხედფინალი**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი** (4, სერბეთი) — მარკოს ბაღდატისი (10, კვიპროსი) 7:6 7:6 6:7 4:6 7:5; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — ტომაშ ბერდიხი (7, ჩეხეთი) 6:1; **როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ხუან კარლოს ფერერო (20, ესპანეთი) 7:6 3:6 6:1 6:3; **რიშარ გასკე** (12, საფრანგეთი) — ენდი როდიკი (3. აშშ) 4:6 4:6 7:6 7:6 8:6

**ქალები**

**ნახევარფინალი**

**ვინუს უილიამსი** (23, აშშ) — ანა ივანოვიჩი (6, სერბეთი) 6:2 6:4; **მარიონ ბარტოლი** (18, საფრანგეთი) — ჟუსტინ ენინი (1, ბელგია) 1:6 7:5 6:1

ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ბიორნ ბორგის რომელიმე მიღწევა გამეორდება — ან როჯერ ფედერერი შვედივით ზედიზედ მეხუთედ მოიგებს უიმბლდონს, ანაც რაფაელ ნადალი პირველი იქნება ლეგენდარული შვედის შემდეგ, ვინც „როლან გაროსს" უიმბლდონსაც მიაყოლებს. ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე ჩოგბურთის პირველ-მეორე კაცები ფინალისკენ ისე მიქრიან, ძნელი სავარაუდოა, ვინმემ შეაჩეროს. გუშინდელი ჩაუქობის შემდეგ შვეიცარიელსა და ესპანელს თითო ნაბიჯიღა დარჩათ, შარშანდელი ფინალის გადამღერება რომ მოაწყონ.

ახლა კი გუშინდელ მეოთხედფინალებს მივუბრუნდეთ. ფედერერმა და ნადალმა განსხვავებული შთაბეჭდილებები დატოვეს. რაც უნდა გასაკვირად მოგეჩვენოთ, გაცილებით შთამბეჭდავად ესპანელმა იჩოგნავა, რომელმაც გადატანილი ორი ხუთსეტიანი მარათონის შემდეგ მტკიცედ გადაწყვიტა საქმის დროულად მოთავება და ტომაშ ბერდიხს ორ საათზე ნაკლებში გამოუყვანა წირვა. არადა, ამ მატჩში მალიორკელს ფავორიტობას არავინ აბრალებდა და მეტიც, ჩეხის მოგებას უფრო ბევრი ვარაუდობდა — ჯერ ერთი, რომ ბერდიხი ბალახს უფრო ჩვეულია, რაც ჰალეს მოგებით დაამტკიცა; მეორეც, ტომაშმა რაფაზე ადვილად გაიკაფა მეოთხედფინალისკენ გზა და წესით, დასვენებულიც უნდა ყოფილიყო. მაგრამ არა — ბერდიხმა მხოლოდ პირველ სეტში ითამაშა მეტ-ნაკლებად ღირსეულად და ტაიბრეიკამდეც მიიყვანა საქმე, სადაც ნადალმა მეტოქე უშანსოდ დატოვა. ამან სლავი აშკარად წელში გატეხა და მეორე სეტში მაინც თუ იბრძოლა, ბოლო პარტიაში ყურები ჩამოყარა და ესპანელი ნახევარფინალში გაატარა.

„ზუსტად ისევე თამაშობს, როგორც გრუნტზე — ყველა ბურთს ეწევა და შეცდომებს თითქმის არ უშვებს. ბალახსაც მაგრად გაუთავისდა. ჰოდა, მოდი და ასეთ ნადალს გაუმკლავდი" — მეტოქის ქებაში იყო ნამატჩევს ბერდიხი.

აი, ფედერერის თამაშში კი გუშინ მისთვის უჩვეულო ხარვეზები გამოჩნდა. ალპელი ნამეტანს სცოდავდა და სეტიც კი დაუთმო ხუან-კარლოს ფერეროს. თუმც „მხიარულ როჯერს" გასამართლებელი საბუთი აქვს — გაუთავებელი წვიმებისა და ტომი ჰაასის უარის გამო ფედერერი მთელი კვირა უქმად იყო, რაც საკმარისი აღმოჩნდა ტონუსის დასაკარგად. ეს ჯერ კიდევ გუშინწინ გამოჩნდა, როცა 4:1 დაწინაურებულმა ალპელმა დაწევის საშუალება მისცა ესპანელს. მაშინ ფედერერს წვიმამ მოუსწრო, თორემ ეგებ პირველი სეტი წაეგო კიდეც.

გუშინ სწორედ აქედან, ანუ 5:5-დან განახლდა თამაში. თავიდან შვეიცარიელმა უკეთ დაიწყო და ტაიბრეიკზე იმარჯვა კიდეც. თუმც მეორე პარტიაში პირინეელმა ფედერერის შეცდომები გამოიყენა და ანგარიშიც გაათანაბრა. „მხიარული როჯერი" სწორედ აქ ჩაირთო და ისე ათამაშდა, როგორც მისგან ყველა მოელის და ფერეროს შანსი აღარც ჰქონია.

„მოგება მოგებაა და რა მნიშვნელობა აქვს, როგორი თამაშით მოიპოვებ. სეტის წაგება, რა თქმა უნდა, უსიამოვნოა, მაგრამ მეც გამიგეთ — ამდენი წვიმა თამაშის კი არა, ვარჯიშის საშუალებასაც არ მაძლევდა და ამიტომ ვერ ვიყავი ჩემს იშტაზე" — თავს იმართლებდა ნამატჩევს ფედერერი.

დღის ყველაზე საინტერესო და დაძაბული მატჩი ნოვაკ ჯოკოვიჩისა და მარკოს ბაღდატისის ჯახი გამოდგა, რომელცშიც ჩოგბურთელებმა 5 (!!!) საათზე მეტი იჭიდავეს. ასეთი რამ „როლან გაროსისთვის" არის ჩვეული ამბავი, თორემ უიმბლდონზე მატჩის ამდენ ხანს გაწელვა ლამის დეკადის მოვლენაა ხოლმე. შეხვედრის დრამატულობას ისიც კარგად აღწერს, რომ სერბმა და კვიპროსელმა 3 ტაიბრეიკი ითამაშეს. საინტერესო კი ის არის, რომ თამაში შეიძლება კიდევ უფრო გაწელილიყო, რადგან მეტოქეები მეხუთე სეტშიც თანაბრად მიდიოდნენ — გადამწყვეტ პარტიაში კი, მოგეხსენებათ, ტაიბრეიკი არ არის და შეიძლებოდა, თამაში კიდევ დიდხანს გაგრძელებულიყო. მაგრამ ჯოკოვიჩმა ბოლოსკენ მაინც იყოჩაღა, მეთერთმეტე გეიმში ბრეიკი გააკეთა, შემდეგ თავისი მოწოდებაც მოიგო და ნახევარფინალში გავიდა. თუმც გადაღლილი სერბი იქ რას მოუხერხებს ფორმააკრეფილ ნადალს, ცალკე საუბრის თემაა.

ვინუს უილიამსი კი ორი წლის წინანდელის გამეორებას ესწრაფვის — წლევანდელის არ იყოს, ამერიკელს არც მაშინ მოიხსენიებდნენ ფავორიტთა შორის და ბევრი საწყის წრეებში წაგებასაც უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ უფროსმა უილიამსმა ტურნირი დიდებულად გაიფრინა და გზად მოქმედ ჩემპიონ მარია შარაპოვასა და მაშინ რეიტინგის სათავეში მდგომ ლინდის დევენპორტსაც მოუგო. ვინუსი ახლაც ამ გზით მიდის — შარაპოვა უკვე განაანდგურა, მერე ზედ სვეტლანა კუზნეცოვა მიაყოლა და გუშინ არც ანა ივანოვიჩს აყარა კარგი დღე, როცა ახლაგაზრდა სერბს სრულიად აუღელვებლად, კლასით მოუგო.

**კახა ლომაყმილი**

# ოქსანა ორსულა ურსულამ შეაჩერა

**ოქსანა კალაშნიკოვასთვის** უიმბლდონის გოგონათა შეჯიბრი მეორე წრეში დასრულდა. ჩვენებური მე-6 ნომრად განთესილ პოლონელ ურსულა რადვანსკას პირველ სეტში 5:4-ს უგებდა და აწვდიდა კიდეც, მაგრამ შემდეგი ათი გეიმიდან მხოლოდ ერთი მოიგო და 5:7 1:6 დამარცხდა.

რადვანსკამ კი გუშინ ერთბაშად ორი მეტოქე ჩამოიცილა, კალაშნიკოვას შემდეგ პირველ ნომრად განთესილ რუს ანასტასია პავლიუჩენკოვასაც მოუგო და ნახევარფინალს უწია.

# კუნეოში პადოვა არ გამოვიდა

**წინა** კვირას იტალიურ პადოვაში კარგად დაწყებული და გამარჯვებით დასრულებული საქმე მაკა ჩახნაშვილმა მეორე იტალიურ ქალაქ კუნეოში ვეღარ გააგრძელა.

საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი იქაურ თიხნარზე მიმდინარე 50-ათასიანი შეჯიბრის მეორე წრეში უიმედოდ - 0:6 2:6 დამარცხდა მე-7 ნომრად განთესილ გერმანელ ჯულია შრუფთან, ვინც WTA-ს მიმდინარე რეიტინგში 110-ე კია, მაგრამ ერთი წლის წინ 52-ე პოზიციაზე იმყოფებოდა.

# ბაბოლატი კავკასიას დიდომში გაიცნობს

**გუშინ იან ჰომერის სახელობის საჩოგბურთო კომპლექსში წინასატურნირო პრესკონფერენცია მოეწყო. 9-14 ივლისს დილმის კორტებზე 18-წლამდელებში „ბაბოლატის თასი" გათამაშდება. ეს საერთაშორისო ტურნირი ტრადიციული რომ გახდება, აქედანვე გადაწყვეტილია, ოლონდ მომავალი წლიდან გაზაფხულის ბოლოს ჩატარდება ხოლმე. ახალდაბადებული შეჯიბრის შესახებ ჟურნალისტებს ორგანიზატორი, კომპანია ქართული ჩოგბურთის პრეზიდენტი დავით ლანჩავა ესაუბრა**

— 18-წლამდელთა საერთაშორისო ტურნირისთვის აქამდე არათუ საქართველოს, კავკასიასაც არასოდეს უმასპინძლია. იგი ITF-ის ეგიდით ჩატარდება და, დარწმუნებული ვარ, პოპულარობასაც მალე მოიხვეჭს. ყველაზე მეტად მომგებიანი კი, რა თქმა უნდა, ქართველი ჩოგბურთელებისთვის იქნება. ჩვენი ბავშვები ხომ სატურნირო გამოცდილების ნაკლებობას განიცდიან და ამ მიზეზის გამო 16 წლის მერე ბევრი ნიჭიერი და პერსპექტიული სპორტსმენი იკარგება.

— მონაწილეები სარეიტინგო ქულებს მიიღებენ. ამ ასაკში ამაზე მაღალი რანგის ტურნირი არ არსებობს. ერთადერთი, რამაც ჩაგვაფიქრა ისაა, რომ ივლისში არც საქართველოში და არც ჩვენს მეზობელ ქვეყნებში მსგავსი ტურნირი არ ტარდება. ამის გამო, შეიძლება ბევრმა ჩამოსვლისგან თავიც შეიკავოს. ბუნებრივიცაა, ყველას ურჩევნია, ისეთ რეგიონში ჩავიდეს, სადაც ზედიზედ 2-3 ტურნირს ითამაშებს. „ბაბოლატის თასი" კალენდარში შარშან შევიტანეთ და ყველაფრის გათვალისწინება ვერ მოვასწარით, მომავალი წლიდან კი ალბათ თარიღს შევცვლით. მაისში სტამბოლში ზედიზედ ორი შეჯიბრი ტარდება და ვეცდებით, მათ თბილისური მივაყოლოთ.

— ტურნირზე 5-6 ისეთი ქართველი გავა კორტზე, წლების წინ თავის ასაკში უძლიერესთა შორის რომ იყვნენ, მერე კი ზემოთ ნახსენები პრობლემის გამო ყველას თვალთახედვიდან გაქრნენ. აუცილებლად ითამაშებს 13 წლის სალომე კვიტაშვილიც, რომელიც ბოლო პერიოდში 14 და 16 წლამდელებში, სადაც კი გამოვიდა, ყველგან ჩემპიონი გახდა. იმედია, თავს არც 18-წლამდელებში შეირცხვენს.

— „ბაბოლატი" საჩოგბურთო ინვენტარის მწარმოებელი კომპანიაა. მისი ნაწარმით რაფაელ ნადალი, ენდი როდიკი და ბევრი სხვა დიდი ჩოგბურთელი სარგებლობს და ასეთ კომპანიასთან თანამშრომლობა ძალიან სასიხარულოა. სამწუხაროდ, „ბაბოლატის" ოფიციალური წარმომადგენელი 23 ივლისამდე ვერ ახერხებს თბილისში ჩამოსვლას და მომავალი ტურნირი მის გარეშე ჩაივლის. გამარჯვებული ჩოგბურთელებისთვის პრიზები და მედლები ქართულმა ზარაფხანამ დაამზადა. მასვე ეკუთვნით მინანქარის „ბაბოლატის" ლოგოც. 18-წლამდელთა ტურნირს 14-15 ივლისს მოყვარულ ჩოგბურთელთა და ვეტერანთა „ბაბოლტის თასი" მოჰყვება.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# ნეტარ არიან მორწმუნენი



**გვატემალაში** მიმდინარე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 119-ე სესიაზე 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლად სოჭის არჩევამ ერთნი გაახარა, მეორენი დაამწუხრა, მათ შორის თავად რუსეთშიც. ყოველ შემთხვევაში, კენჭისყრამდე მოსკოვში ეკოლოგთა აქცია გაიმართა ლოზუნგით — „სოჭი მოიგებს, ხოლო ბუნება და ხალხი წააგებს". მათი აზრით, ნაკრძალები და კურორტში მცხოვრებნი სახელმწიფოს ოლიმპიური საბიზნესო ამბიციების მძევლები გახდებიან.

აქციის ორგანიზატორები ირწმუნებიან, რომ ოლიმპიადისთვის მზადების გამო ქალაქის შემოგარენი დამთვალიერებლებისთვის იხურება და იმერეთის ველზე (იმერეტინსკაია დალინა) ათასამდე სახლი დასანგრევადაა შეგულებული, ხოლო თავად ქალაქი ვეება სამშენებლო პოლიგონად გადაიქცევა.

„ის, რაც ახლა სოჭში ხდება, სხვა არაფერია, თუ არა კავკასიის ნაკრძალების ტერიტორიათა და იქ მობინადრეთა სახლების ხელში ჩაგდება" — განმარტავს მოსკოვის უნივერსიტეტის ბიოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი ნინა ნესტეროვა.

ეკოლოგთა ბრალდების პასუხად ხელისუფლება ამბობს, რომ ყველა ტერიტორიამ, სადაც კი მშენებლობაა დაგეგმილი, უკვე ანთროპოლოგიური ზემოქმედება განიცადა. იმერეთის ველზე მიწების დიდი ნაწილი, სადაც უნდა მოეწყოს ოლიმპიური პარკი, წინათ კოლმეურნეობა „როსიას" ეკუთვნოდაო.

ბუნებრივია, სოჭის, როგორც ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლის ისტორიით უცხოელები ახლა უფრო მეტად დაინტერესდებიან და ალბათ იმასაც გამოჩხრეკენ, რომ გაწითლებამდე ეს მხარე საქართველოსი ყოფილა, რუსები კი მის სიახლოვესაც არ დაჭენაობდნენ.

ჰოდა, ყველანი კიდევ ერთხელ დარწმუნდებიან რუსეთის ავკარგიანობაში, რომელსაც სოჭი აღარ ჰყოფნის და ახლა საქმით ლამის ზუგდიდიც წაგვართვას.

ზოგი ფიქრობს, რომ სოჭში ოლიმპიადის მიღებით რუსეთში „ახალგაზრდა დემოკრატია" განმტკიცდებაო.

„თქვენ მიიღეთ გადაწყვეტილება, რომელიც რუსეთის ისტორიაში უდიდეს როლს შეასრულებს, გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენი ქვეყნის მილიონობით ადამიანის ბედზე მოახდენს გავლენას" — თქვა სოკელთა მისამართით წარმოთქმულ სამადლობელო სიტყვაში სოჭის საგანაცხადო კომიტეტის მეთაურმა დმიტრი ჩერნიშენკომ.

მისი სიტყვებით, რუსეთისადმი ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლების მიცემა, ამ ქვეყანაში „ახალგაზრდა დემოკრატიას" განამტკიცებს.

„რუსეთს ოლიმპიადის ჩატარება უფრო დემოკრატიულს და საერთაშორისო სარბიელზე გაცილებით ორიენტირებულს გახდის" —იმედოვნებს ჩერნიშენკო და ამის, მგონი, ზოგიერთებს საქართველოშიც სჯერათ. ყოველ შემთხვევაში, სატელევიზიო გამოსვლებში სოჭის გამარჯვება უხარიათ და იმედოვნებენ, რომ იქ ოლიმპიადის გამართვა აფხაზეთის ტერიტორიების დაბრუნებაში ხელს შეგვიწყობს.

ნეტარ არიან მორწმუნენი. აბა, როდის ყოფილა, რომ რუსეთს ვინმესთვის რამე დაეთმოს, ან ამ ქვეყანაში დემოკრატია სად გაგონილა? ისე კი, ახლა აფხაზეთში ერთი პატარა დაბათქუნება რუსეთს წვითა და დაგვით მოპოვებულ ოლიმპიადას დააკარგვინებს, მაგრამ საკითხავი ისაა, ეს ჩვენ რას მოგვიტანს, ან ამის შიშით დათმობს თუ არა აფხაზეთს ჩრდილოელი მეზობელი.

ასე თუ ისე, სოჭის ოლიმპიადა რუსეთის „ახალგაზრდა დემოკრატიისთვის" დიდი გამოცდა იქნება.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# რუსებმა ოლიმპიური დავთრები არიეს

**სოჭის** გამარჯვებამ 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლო ბრძოლაში არაერთ ქალაქს გეგმები თუ ოცნებები თავდაყირა დაუყენა. მაგალითად, პიონჩანელები ამბობენ, ოლიმპიადის ჩატარებაზე აღარც კი ვფიქრებთო, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ექსპრეზიდენტი და ახლანდელი პრეზიდენტის მთავარი მრჩეველი ჯანო ბაგრატიონი კი იმედოვნებს, რომ ამ ბრძოლას ადრევე გამოკლებული ბორჯომ-ბაკურიანი ფარ-ხმალს არ დაყრის და 2018 წლის თეთრი ოლიმპიადისთვის სამასპინძლო განაცხადს კვლავაც შეიტანს.

ჩვენი აზრით, სოჭის დამარცხების შემთხვევაში ბორჯომის იმედი იქნებ რამდენადმე პერსპექტიული ყოფილიყო კიდეც, მაგრამ ახლა საეჭვოა, რომ 2014 წლის მომდევნო ოლიმპიადა ისევ ევროპას მისცენ, თანაც იმავე კავკასიის რეგიონში.

ირკვევა, რომ მოვლენათა ამგვარი განვითარების გამო, სოჭის გამარჯვების მერე, რომი აღარ ფიქრობს 2016 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მიღებას და მზერა 2020 წლისთვის გადააქვს, მით უმეტეს, რომ 2012 წლის ოლიმპიადაც ევროპაში, ლონდონში გაიმართება. „ჩვენ არ გვგონია, რომ ზედიზედ სამი ოლიმპიადა ევროპაში ჩატარდება. ამიტომაც ფულის გადაყრას აზრი არ აქვს. უმჯობესია, 2020 წლის განაცხადზე ვიფიქროთ" — თქვა რომის მერმა ვალტერ ველტრონიმ.

აი, გერმანელები კი მთლად ასე არ ფიქრობენ და სურთ, 2018 წლის ზამთარის ოლიმპიური თამაშები მიუნხენში იხილონ.

მიუნხენის მერი კრისტიან უდე ამბობს, გვატემალაში ზალცბურგის მარცხი იმაზე მიუთითებს, რომ გერმანიამ თავისი კანდიდატურა უნდა წარმოადგინოსო, თუმცა ამ ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის გენერალური დირექტორი მიხაელ ვესცერი თავშეკავებით გამოთქვამს აზრს — ამბობს, ოლიმპიური თამაშების მიღება ყველა ჩვენგანისთვის ეროვნული ოცნებაა, მაგრამ ჩვენი პერსპექტივები და შესაძლებლობები გულდასმით უნდა ავწონოთო.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



Formula 1

**მეცხრე ეტაპი ბრიტანეთის დიდი პრიზი**

## სილვერსტოუნი

*სილვერსტოუნი, 8 ივლისი*



ტრასის სიგრძე -------------------------------- 5.141 კმ
რბოლის დისტანცია -------------------- 60 წრე — 308.355 კმ

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 16 საათზე*

**შარშან:** 1 ალონსო (რენო); 2 მ. შუმახერი (ფერარი); 3 რაიკონენი (მაკლარენი); 4 ფიზიკელა (რენო); 5 მასა (ფერარი); 6 მონტოია (მაკლარენი); 7 ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი); 8 ვილნევი (BMW-ზაუბერი)

**წრის რეკორდი:** 2004 — მ. შუმახერი (ფერარი) 1.18,739 (235,1კმ/სთ)



ლუის ჰემილტონი და დევიდ კულჰარდი

AFP

# სილვერსტოუნი ჰემილტონს ელის

**ხვალინდელი** რბოლით ჩემპიონატის მეორე ნახევარი დაიწყება. სეზონის ეკვატორზე ამგვარ „ცხელ" ვითარებას, ცხადია, არავინ მოელოდა — გაუგონარი ამბავია, რომ სატურნირო ცხრილს სათავეში 22 წლის დებიუტანტი უდგას. თანაც ლუის ჰემილტონი უზარმაზარი, 14-ქულიანი სხვაობით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ თანამაკლარენელ ფერნანდო ალონსოს, ფერარელი კონკურენტები კი უფრო მეტით ჩამორჩებიან.

ჰემილტონი „სილვერსტოუნზე" რბოლას სეზონში უმთავრესად თვლის, რადგან ეს პირველი მშობლიური გრან პრია და, ბუნებრივია, თანამემამულე ქომაგების თვალწინ წარმატებით გამოსვლა სურს. ამასთან, უკვე შვიდი წელია, რაც ბრიტანეთში ბრიტანელ მეფორმულეს არ გაუმარჯვია, შოტლანდიელ დევიდ კულჰარდის ზედიზედ ორი ტრიუმფის (1999, 2000) შემდეგ. დევიდი ლუისს მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონ ალენ პროსტისა და სამგზის ტრიუმფატორ აირტონ სენას დარ გენიოსად მიიჩნევს და ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებს:

„ამ ბიჭს სენას აგრესიულობა და პროსტის ანგარიშიანობა აქვს. ჰემილტონი, უეჭველია, თანამედროვეობის ყველაზე სრულყოფილი მრბოლია და უახლოეს ხუთ, იქნებ ათ წელიწადშიც კი რეალური კონკურენტი არ ეყოლება".

კულჰარდის გარდა დღევანდელებიდან „ვერცხლის ქვაზე" თითოჯერ იპირველეს ალონსომ და ვეტერანმა რუბენს ბარიკელომ. 35 წლის ბრაზილიელს, ისე რა ძალის „ჰონდათი" ამჯერად პოდიუმის შანსიც არ აქვს, ნანდოს კი ბრიტანელი ბუქმეიკერები ჰემილტონთან და ერთი კვირის წინ საფრანგეთში გამარჯვებულ ფერარელ კიმი რაიკონენთან ერთად ფავორიტად თვლიან.

შავკანიანი ინგლისელის ფანტასტიკური წარმატების შედეგად სილვერსტოუნში სწორედ რომ „ჰემილტომანიაა" — ყველა ბილეთი რა ხანია, გაიყიდა და ყველანი საგინესო მიღწევის მოლოდინში არიან — დღემდე არც ერთ ბრიტანელ პილოტს სადებიუტო სეზონში სამშობლოში არ გაუმარჯვია.

ცხადია, სახვალიოდ დიდ გულზე არიან გასულ კვირას მანი კურში წლეულს პირველი დუბლით (პირველ-მეორე ადგილები) მომგები ფერარელები და სატიტულო მეტოქესთან გვარიანი ჩამორჩენის შემცირების იმედიც აქვთ.

გუშინ პირველ თავისუფალ ვარჯიშზე საუკეთესო დრო ჰემილტონმა აჩვენა, რაიკონენი და მასა მას მცირედით ჩამორჩნენ, ალონსომ კი ნახევარ წამზე მეტი წააგო.

ორი საათის შემდეგ მეორე გასვლაზე ყველას რაიკონენმა აჯობა. შემდეგ იყვნენ მასა, შუმახერი, ჰემილტონი, ტრული, ალონსო...

**გია ახალაძე**


**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჭარჭილიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge


სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00